აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№32 (25.160) 23 აგვისტო, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს ზოგან მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 30-35, მთიან რაიონებში - 28-33 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 28 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით.

„მომავალ თაობას სამართავად თავისუფალი, დამოუკიდებელი, ერთიანი და ძლიერი საქართველო უნდა დავუტოვოთ“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

მცხეთაში „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონული ღონისძიება გაიმართა. გუნდის წევრებს და შეკრებილ მოსახლეობას „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე მიესალმა. ბიძინა ივანიშვილმა სიტყვით გამოსვლისას არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ მათი გუნდის ამოცანაა, მოიპოვონ საკონსტიტუციო უმრავლესობის ტოლფასი გამარჯვება, რაც საქართველოს არა მხოლოდ მოკლევადიან, არამედ გრძელვადიან ეროვნულ ამოცანებსაც წარმატებით გადაჭრის.

„დღეს საქართველო რთული გამოწვევების წინაშე დგას, ვიდრე გასული 3 ათასწლეულის მანძილზე. მშვიდობის, ღირსების, სუვერენიტეტის, ქრისტიანული ფასეულობებისა და ქვეყნის ნათელი მომავლის დაცვა ახლაც მუდმივ სიფხიზლეს საჭიროებს. 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს, ამ თვალსაზრისით, საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება.

როგორც არაერთგზის ითქვა, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები არის ერთგვარი რეფერენდუმი, სადაც ჩვენი ქვეყნის თანამოქალაქეებს უწევთ არჩევანის გაკეთება ომსა და მშვიდობას შორის, მონობასა და თავისუფლებას შორის, მორალურ დაცემასა და ქრისტიანულ ფასეულობებს შორის, ბნელ წარსულსა და ქვეყნის ნათელ, ევროპულ მომავალს შორის.

ამ არჩევნებზე, ჩვენ გვაქვს ბევრად უფრო დიდი ამოცანა, ვიდრე ეს მხოლოდ მისი მოგება შეიძლება იყოს. ჩვენი გუნდის სახელით გავრცელდა ვრცელი განცხადება იმის შესახებ, თუ რისთვის გვესაჭიროება საკონსტიტუციო უმრავლესობა და ჩვენი პოზიცია დღეს კიდევ ერთხელ მინდა თქვენ წინაშე განვმარტო.

პირველ რიგში, საკონსტიტუციო უმრავლესობა „ქართულ ოცნებას“ სჭირდება „ნაციონალური მოძრაობის“ გასასამართლებლად. ჩვენ გვჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოვაშოროთ ქვეყანას მძიმე სენი, რომელიც მას უკვე ორი ათწლეულია არ ასვენებს. ჩვენ წამოვიწყებთ სამართლებრივ პროცესს, რომლის შედეგადაც, როგორც „ნაციონალური მოძრაობა“, ისე ყველა მისი სატელიტი და მემკვიდრე პარტია აიკრძალება, რისთვისაც ყველანაირი სამართლებრივი საფუძველი არსებობს, - განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, „ნაციონალურ მოძრაობას“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე ჩადენილი აქვს უამრავი დანაშაული.

„2008 წელს მათ ჩართეს საქართველო ომში, რამაც ჩვენს ქვეყანას ტერიტორიების 20 პროცენტი დააკარგვინა, 400-ზე მეტი ჩვენი თანამოქალაქის სიცოცხლე შეიწირა და 30 ათასი ქართველი დევნილად აქცია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კრებსითი „ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს დღესაც არეულობისა და ომისკენ ეჭაჩება, რის გამოც მათი გასამართლება ახლა სულ სხვა აქტუალობას იძენს. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ქვეყანამ მუდმივად დანაღმულ ველზე იაროს, ამისათვის კი „ნაციონალური მოძრაობის“ გასამართლება აუცილებელზე აუცილებელია“, - აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარემ „ნაციონალურ მოძრაობას“ „უსამშობლო პოლიტიკოსთა ერთიანობა“ უწოდა და დასძინა, რომ მათ დამსახურებული სასჯელისგან ვერავითარი გარე მფარველობა ვეღარ გადაარჩენს.

ბიძინა ივანიშვილმა ასევე ისაუბრა კონსტიტუციურ კანონზე „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, რომელსაც საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების შემდეგ დაამტკიცებენ და რომელიც გულისხმობს ერთნაირსქესიანთა სამოქალაქო პარტნიორობის აკრძალვას, ასევე, ლგბტ-წყვილის მიერ შვილის აყვანას, სქესის შეცვლის ოპერაციების ჩატარებას, მედიაში თუ სკოლებში ლგბტ-პროპაგანდის წარმოებას და სხვა.

„კიდევ ერთხელ მინდა მოგიწოდოთ თითოეულ ჩვენს თანამოქალაქეს, ვისთვისაც ძვირფასია ქვეყანა, გადადეთ ყველაფერი და გამოდით არჩევნებზე, გვერდზე გადადეთ ყველანაირი ვიწროპოლიტიკური საკითხი, რადგან ამ არჩევნებზე არა პოლიტიკის, არამედ ქვეყნის გადარჩენის საკითხი წყდება. ყველაფერი ჩვენს ხელშია, საქართველოს ბედი ჩვენს ხელშია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ქვეყანა გადავარჩინოთ და მომავალ თაობას სამართავად თავისუფალი, დამოუკიდებელი, ერთიანი და ძლიერი საქართველო დავუტოვოთ“, - აღნიშნა სიტყვით გამოსვლის დასასრულს ბიძინა ივანიშვილმა.

შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს საქართველოს მთავრობის სხვა ლიდერებმაც. პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის განცხადებით, სახელმწიფოებრიობა და ქრისტიანობა ის ორი უმთავრესი ღირებულებაა, რომლისთვისაც ქართველ ხალხს თავგანწირული ბრძოლა არასოდეს შეუწყვეტია და დღესაც არცერთი ნაბიჯით არ აპირებს უკან დახევას.

„ქართულმა ოცნებამ“ 2008 წლის შემდეგ 8 არჩევნებში გაიმარჯვა, ყოველი არჩევნები იყო უკიდურესად პრინციპული ჩვენი ქვეყნისთვის. საბედნიეროდ, ქართველი ხალხი არჩევანს ყოველთვის მშვიდობის, თავისუფლების, დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, დემოკრატიისა და ეკონომიკური წინსვლის სასარგებლოდ აკეთებდა. შესაბამისად, გასული 12 წლის განმავლობაში საქართველოს ჰქონდა უპრეცედენტო წინსვლა ყველა მიმართულებით. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება არის პირველი ხელისუფლება საქართველოს უახლეს ისტორიაში, რომლის დროსაც ქვეყანას ომი არ ჰქონია. 2012 წლის დემოკრატიული გარდატეხის შედეგად, საქართველოში აღიკვეთა ადამიანების მკვლელობის, წამების, არაადამიანური მოპყრობის არსებული პრაქტიკა, გათავისუფლდა ბიზნესი, დამკვიდრდა მედიაპლურალიზმი, ტარდება სამართლიანი არჩევნები, რის შედეგადაც ქვეყანაში მმართველობას არა გარედან დანიშნული აგენტურა, არამედ ქართველი ხალხის მიერ დემოკრატიული წესით არჩეული ხელისუფლება ახორციელებს“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ და აღნიშნა, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ქვეყნის განვითარების მთავარი გარანტი.

პრემიერმა მოუწოდა მოსახლეობას, „ქუდზე კაცი გამოვიდეს“ არჩევნებზე, რათა „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს.

მისივე თქმით, საკონსტიტუციო უმრავლესობა არის საუკეთესო გზა იმისთვის, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში გადაიჭრას ეროვნული საკითხები, დამკვიდრდეს ჯანსაღი პოლიტიკური სისტემა და გასამართლდეს არალეგიტიმური, არაკონსტიტუციური პოლიტიკური ძალა - „ნაცმოძრაობა“.

„26 ოქტომბერს ისევ ეს ბოროტი ძალა („ნაციონალური მოძრაობა“) უპირისპირდება ჩვენს ხალხს, ოღონდ ამჯერად უკვე, სახეცვლილი, ხელოვნურად გაყოფილი და გაშლილი მრავალ ფრონტზე, ხალხის დასაბნევად და მოსატყუებლად. არ არსებობს სხვა ალტერნატიული ძალა, არც ძველი და არც ახალი „ნაციონალური მოძრაობა“ და არც სხვა ალტერნატიული ოპოზიცია თუ კოალიცია, მათი სახელი უცვლელია - ეს არის კოლექტიური „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. 26 ოქტომბერს ისევ ჩვენი ლიდერის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის წინამძღოლობით, თქვენთან ერთად, ჩვენს ხალხთან ერთად კიდევ ერთხელ უნდა გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყანა და აღარასოდეს აღარ უნდა მივცეთ ხალხის მჩაგვრელ ბოროტ ძალას ხელმეორედ ჩვენი ქვეყნის და ხალხის განადგურების უფლება“, - მიმართა ღონისძიებაზე შეკრებილ საზოგადოებას „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილმა.

„ამ რთულ ჟამს, ჩვენი ხალხის სიბრძნით ზურგგამაგრებულები მტკიცედ დავდექით და არ დავუშვით ქვეყნის საომარ ველად გადაქცევა“, - განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა. მისივე თქმით, „ქართული ოცნების“ მიზნებიცა და ამოცანებიც მათ საარჩევნო მოწოდებაშია გაცხადებული და ის გულისხმობს მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით ევროპისკენ სვლას.

„დავრჩით ჩვენი ქვეყნის ინტერესების ერთგული და არ დავუშვით ქვეყნის საომარ ველად გადაქცევა. თუმცა საფრთხეები არსად გამქრალა. ამიტომ ამ არჩევნებზე ხმას ვაძლევთ არა მხოლოდ ამ ქვეყნის ხელისუფლებას, არამედ საქართველოს მშვიდობიანი მომავლის ხედვას“, - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

სოსო ბარდანაშვილს – კანადის უმაღლესი ჯილდო

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

„... სოსო ბარდანაშვილი ბოლო პერიოდის საუკეთესო ქმნილებებისთვის, 2024 წლის კანადის უმაღლესი პრემია Azrieli Music Awards-ით დაჯილდოვდა.

ვულოცავ მას მორიგ აღიარებას და დაფასებას!

სოსო ბარდანაშვილი მოსიარულე ლეგენდაა მუსიკის სამყაროში...“, - წერს სოცქსელში მაესტრო ნიკოლოზ რაჭველი.



სოსო ბარდანაშვილი ჩვენი თანაქალაქელია, დაიბადა ბათუმში 1948 წლის 23 ნოემბერს. დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. 1973 წლიდან მუსიკის თეორიის საგნებს (კომპოზოცია, პოლიფონია, ინსტრუმენტობა) ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში ასწავლიდა. შექმნილი აქვს ნაწარმოებები მუსიკალური თეატრისათვის - ერთაქტიანი ბალეტი „ბალადა ქალზე“, ორმოქმედებიანი როკ-ოპერა „ალტერნატივა“, სიმფონიური და ვოკალურ-სიმფონიური ნაწარმოებები, კონცერტი ფორტეპიანოს, ვიოლონჩელოსა და ჩასაბერი საკრავებისათვის, კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოებები, ფორტეპიანოსათვის, ოთხი საფორტეპიანო პიესა ებრაულ ხალხურ თემებზე, მუსიკა დრამატული თეატრების სპექტაკლებისათვის (ბათუმის, მახარაძის, თბილისის გრიბოედოვის, რუსთაველის, მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრებისთვის), მუსიკა კინოფილმებისა და ტელეფილმებისათვის და კიდევ მრავალი სხვა მუსიკალური ნაწარმოებები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ვულოცავთ ბათუმელების საყვარელ კომპოზიტორ სოსო ბარდანაშვილს ამ დიდ აღიარებას!

სტარტაპ სამიტი და სტარტაპების მსოფლიო თასის კონკურსი

ბათუმში საქართველოს სტარტაპ სამიტი და სტარტაპების მსოფლიო თასის რეგიონული კონკურსი იმართება. ორდღიანი სამიტის ფარგლებში გათვალისწინებულია საერთაშორისოდ აღიარებული სპიკერების პრეზენტაციები ხელოვნურ ინტელექტზე, ინვესტიციებსა და სტარტაპების განვითარებაზე. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ, გაიზიარონ საერთაშორისო ექსპერტების, სილიკონ ველისა და საერთაშორისო ტექნოლოგიების გამოცდილება, ასევე, დაამყარონ მნიშვნელოვანი კავშირები. სტარტაპების მსოფლიო თასის (Startup World Cup) რეგიონული კონკურსი კი რჩეულ ქართულ სტარტაპებს შორის იმართება და მისი მიზანი გამარჯვებულის გამოვლენაა, რომელიც მთავარი პრიზისთვის ბრძოლას სანფრანცისკოში განაგრძობს. სტარტაპების ყველაზე მასშტაბური შეჯიბრების - სტარტაპების მსოფლიო თასის საპრიზო ფონდი 1.000.000$-ს შეადგენს და ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად მსოფლიოს მასშტაბით 50-ზე მეტი რეგიონული შეჯიბრი იმართება.

ბათუმის მერია ღონისძიების პარტნიორია „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) მეორე ფაზაში მიმდინარე საგრანტო პროექტის, მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელი - „ბათუმი ახალი სტარტაპ ეკოსისტემა საქართველოში“ ფარგლებში, რომლის მხარდაჭერითაც სტარტაპების მსოფლიო თასის ეროვნული კონკურსი (წელს უკვე რეგიონული კონკურსი) ბათუმში უკვე მესამედ ტარდება.

სამიტის გახსნას ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე, Startup Grind-ის აღმასრულებელი დირექტორი კოლინ დონოჰიუ, ბათუმის ტექნიკური პარკის მენეჯერი ქეთევან ბულისკერია, UNDP-ის პროექტის მენეჯერი თინათინ ტყეშელაშვილი, საერთაშორისო ექსპერტები და ინვესტორები ესწრებოდნენ. სამიტის მიზანია საქართველოში სტარტაპ ეკოსისტემის განვითარებისა და გაძლიერების ხელშეწყობა.

კიდევ 6 ახალი სწრაფმავალი სამაშველო კატარღა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა, საძიებო-სამაშველო ოპერაციების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, კიდევ 6 ახალი სწრაფმავალი სამაშველო კატარღა შეიძინა.

ქალაქ ბათუმში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა თემურ მღებრიშვილმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძეს და ქალაქ ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანს ახალი კატარღები დაათვალიერებინა და ტექნიკური შესაძლებლობები გააცნო.

„თანამედროვე კატარღები შავი ზღვის სანაპირო ზოლზე გადანაწილდება და ეფექტურია როგორც ზღვაში, ასევე მდინარეში სამაშველო-საძიებო მოქმედებების დროს. კატარღები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. მათზე დამონტაჟებულია წყლის ფსკერის სკანირების საშუალებები“ - აღნიშნულია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გიორგი ცაბაძის ფესტივალი ბათუმის გალა კონცერტით გაიხსნება

ირმა ცეცხლაძე 27 48 93

კომპოზიტორ გიორგი ცაბაძეს 2024 წლის 24 აგვისტოს 100 წელი შეუსრულდებოდა. საიუბილეო წელთან დაკავშირებით შეიქმნა ფესტივალი, რომლის ფარგლებშიც ოთხ დიდ ქალაქში გალა კონცერტები გაიმართება. ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს

არაერთი ცნობილი მომღერალი და მსახიობი. კონცერტები ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდება როგორც რეპერტუარით, ასევე მონაწილეებით. საღამოები დატვირთული იქნება თეატრალური დადგმებით.

24 აგვისტოს, 20:00 საათზე, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში ფესტივალი გრანდიოზული გალა კონცერტით გაიხსნება.

ორგანიზატორების ინფორმაციით, ღონისძიების ფარგლებში შედგება არაერთი ყველასათვის საყვარელი სიმღერის ახლებური ვერსიის პრემიერა, სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ, გაიგონ კომპოზიტორის შესახებ ამ დრომდე უცნობი ისტორიები.

ფესტივალის შემოქმედებითი ჯგუფის შემადგენლობა ასეთია: სამხატვრო ხელმძღვანელი დავით მაზანაშვილი, სცენარის ავტორი და საღამოს წამყვანი - ნიკოლოზ წულუკიძე, რეჟისორი - თინათინ კორძაძე, მხატვარი - სოფო ბასიშვილი, აკომპანემენტი - დავით მაზანაშვილის ბენდი და საქართველოს ქალთა კამერული ორკესტრი.

გალა კონცერტში მონაწილეობენ: კახა ცაბაძე, მერაბ სეფაშვილი, ნანული სარაჯიშვილი, ეკა მამალაძე, სოფო ხალვაში, მაია ჯაბუა, თემურ თათარაშვილი, აჩიკო გოგიტიძე, თამთა ხუხუნაიშვილი, მზიკო ფარტენაძე, გიორგი ნაკაშიძე, მორის მელაძე, სალომე მირიანაშვილი, რუსა თავართქილაძე, სანდრო კურცხალიძე, მარიტა ცეცხლაძე, სულხან დევაძე, „ალილო“, „თეატრალური კვარტეტი“, „ფორტე“, „მურო გაგოშიძის ცეკვის ლაბორატორია“.

სპორტი

„შავი ზღვის დელფინი“ დასრულდა

მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „შავი ზღვის დელფინი“ გაიმართა, რომლის ორგანიზატორი აჭარის ჭადრაკის ფედერაცია გახლდათ, ხოლო ფინანსური მხარდამჭერი აჭარის სპორტის დეპარტამენტი. ფესტივალში ექვსი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათ შორის, უკრაინა, ამერიკა, სომხეთი, გერმანია, ფიდეს დროშით მოასპარეზენი და საქართველო.

„შავი ზღვის დელფინი“ რამდენიმე კატეგორიაში ჩატარდა: 8, 10, 12 და 20 წლამდე ღია კატეგორია, ხოლო 20 წლამდე კატეგორია ამავდროულად, რეიტინგ-ტურნირიც გახლდათ.

ღონისძიება შვეიცარიული სისტემით, შვიდ ტურად წარიმართა, ყოველი ასაკობრივი კატეგორია ფიდეს წესებით მიმდინარეობდა.

სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში პირველ ადგილზე გავიდნენ თევდორე ცინცაძე (მწვრთნელი - ნესტან მახაჭაძე), ევა სოსელია (მწვრთნელი - ალექსი ტერ-კარაპეტიანი), გიორგი მეფარიშვილი (მწვრთნელი - ნანა ჭეფხოძე), მარიამ მიგრიაული (მწვრთნელი - ზაქარია დიდიმამიშვილი), რევაზ ცივაძე (მწვრთნელი - ნანა ჭეფხოძე), ლილე ზვიადაძე (მწვრთნელები - გოჩა თორია და მადონა ბოკუჩავა), მათე სილაგაძე (მწვრთნელი - რაფიელ ჩარგეიშვილი), ქსენია ბოდნარუკი.

მწვრთნელთა კონკურსში ბათუმელმა ალექსი ტერ-კარაპეტიანმა გაიმარჯვა. დაჯილდოვდნენ როგორც კლასიკურ, ისე ელვისებურ ჭადრაკში გამარჯვებულები.

ეკა მაკარაძე მსოფლიო ჩემპიონია!

მოლდოვას დედაქალაქ კიშინიოვში მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს მკლავჭიდში, სადაც საქართველოს სახელით მოასპარეზე ეკა მაკარაძე წარმატებით გამოვიდა.

როგორც აჭარის მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა შავაძემ შეგვატყობინა, ეკა 15 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა. იგი 40 კილოგრამ წონით კატეგორიაში მარცხენა მკლავით ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, ხოლო მარჯვენა მკლავით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

ეკა მაკარაძე ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის აღსაზრდელია, მისი პირადი მწვრთნელია მარი ნოდია.

მანანა ძიძიშვილი

„ქართული ოცნების“ თანმიმდევრული პოლიტიკა ქმნის ამ ქვეყანაში მომავლის პერსპექტივას“

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

*„აჭარასთან“ საუბარში ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, მაჟორიტარი დეპუტატი **ილია ვერძაძე** განიხილავს ელექტრონულ არჩევნებს, მაჟორიტარული სისტემის გაუქმებასა და წინასაარჩევნო ვითარებას საქართველოსა და აჭარაში.*

- ბატონო ილია, „ქართული ოცნება“ ელექტრონულად აპირებს არჩევნების ჩატარებას. რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ეს?

- „ქართული ოცნების“ თანმიმდევრული პოლიტიკა ქმნის ამ ქვეყანაში მომავლის პერსპექტივას, ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, მუდმივად ცდილობს რეფორმების გატარებას სტანდარტების ასამაღლებლად იმის მიუხედავად, რომ ისინი, შესაძლოა, მისივე კომფორტის ზონას ამცირებდეს. მაგრამ ჩვენ ვმუშაობთ არჩევნების დემოკრატიზაციის, აზრის თავისუფლად გამოხატვისა და თანამედროვე სისტემებთან შესაბამისობაში მოსვლის მიმართულებით. ამ მხრივ, მართლაც ბევრი რამ გავაკეთეთ, მათ შორის იყო სადავო თემებიც, რაც კითხვებს იწვევდა. ერთი რამ შემიძლია ხმამაღლა განვაცხადო, რომ დღესდღეობით არჩევნები საქართველოში გახდა უფრო სამართლიანი და გამჭვირვალე, რომელიც მაქსიმალურად, ზუსტად ასახავს მოსახლეობის განწყობას და იძლევა არჩევანის სრულ თავისუფლებას. იგივეს ემსახურება ელექტრონული არჩევნებიც. უკვე მოწესრიგდა სისტემა და ამომრჩევლების 95% ელექტრონულად მისცემს ხმას მისთვის სასურველ პოლიტიკურ პარტიას. აპარატები მონტაჟდება 90-ზე მეტ საარჩევნო უბანში და დარწმუნებული ვარ, გაქრება ხელოვნურად შექმნილი ეჭვები თუ ყბადაღებული კითხვები, რომლითაც გარკვეული პარტიები ცდილობდნენ საკუთარი უსუსურობის გადაფარვას. ამ სისტემით სუბიექტური სიტუაციები მინიმუმამდე შემცირდება, რადგან სპეციალური აპარატი დადებს ობიექტურ შედეგს, რომელზეც წარმოუდგენელია გავლენა, ვინაიდან არ არის დაკავშირებული არც ინტერნეტთან და არც ელექტრონულ თუ ციფრულ მატარებლებთან. ყველა ეს მიღწევა „ქართული ოცნების“ თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგია, რომელიც ასევე, მოიცავს მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას.

- როგორც მაჟორიტარი, რამდენად მართებულად თვლით ამ გადაწყვეტილებას? გამოდის, მოსახლეობას უმცირდება პარლამენტამდე ხმის მიწვდენის საშუალება.

- რაც მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, ანუ, როგორც აღნიშნეთ „ხმის მიწვდენა“ - დავტოვეთ. ყველა პარტიას აქვს საშუალება, გამოიყენოს ეგრეთ წოდებული წარმომადგენლობის სისტემა იმ ფორმით, როგორსაც თავად შეარჩევს. ნებისმიერ პარლამენტში გასულ პოლიტიკურ ორგანიზაციას შეუძლია, წარმომადგენელი ჰყავდეს იმ რეგიონში, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის. ამით შევეცადეთ, შეგვენარჩუნებინა ის, რაც დადებითი იყო მაჟორიტარულ სისტემაში. პარტიულ სიაში აღინიშნება პიროვნება და ამომრჩეველს ეცოდინება, კონკრეტულად რომელი პარტიიდან ვინ იქნება მისი წარმომადგენელი ქვეყნის პარლამენტში, ვის უნდა მიმართოს საჭიროების შემთხვევაში. რაც შეეხება იმას, რომ ოპოზიცია გვაბრალებდა, თითქოს მაჟორიტარული სისტემის ხაზით გარანტირებული უმრავლესობა გვქონდა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში და სწორედ ამიტომ არ ვაუქმებდით მას, ახლა აღარც ეს ექნება სალაპარაკო.

- მიუხედავად ამისა, ოპოზიცია მაინც თვლის, რომ ახლა უკვე ელექტრონული ხმის მიცემის აპარატებით შეძლებს ხელისუფლება ხმების გაყალბებას.

- ენას ძვალი არ აქვს. ისინი ყველაფერს იყენებენ უსაფუძვლო ბრალდებისთვის. ან ის განცხადება რად ღირს, რომ ახლავე თანხმდებიან გაფიცვების მოსაწყობად, თითქოს დარწმუნებული არიან არჩევნების გაყალბებაში. დამეთანხმეთ, აბსოლუტურად აბსურდული მტკიცებულებაა. ელექტრონული არჩევნები რომ არ შემოგვეღო, იტყოდნენ, ეშინიათ გაყალბების და იმიტომო... ანუ რაც უნდა გავაკეთოთ, მაინც იგივეს ამტკიცებენ. ქოთანს იქიდან აბამენ სახელურს, საიდანაც ხელს აძლევთ.

- და რა უნდა ქნათ?

- არაფერი, როგორც ყოველთვის, არ უნდა მივაქციოთ ყურადღება და ვაკეთოთ, რაც გვევალება, რადგან ვურთიერთობთ ხალხთან, რომელიც კარგად ხედავს, რა კეთდება ქვეყანაში, სწორად აფასებს არსებულ მშვიდობას და იმ რეფორმებს, რომელიც მუდმივად ხორციელდება საქართველოში. „ოცნება“ კონტაქტს ამყარებს საკუთარ ამომრჩეველთან, საიდანაც ადეკვატურ უკუკავშირს იღებს. მოსახლეობა ხედავს, როგორ ეწყობა ინფრასტრუქტურა, იმის მიუხედეავად, რომ ოპოზიცია აპელირებს, თითქოს გავერანებულია ირგვლივ ყველაფერი და დაპაუზდა ქვეყანაო. ან ის რად ღირს, როდესაც ამტკიცებენ, კორუფცია ყვავისო, ხოლო საერთაშორისო ინსტიტუტები აბსოლუტურად საპირისპირო დასკვნებს ასაჯაროებენ, სადაც მოწინავე პოზიციებზე ვართ. ოპოზიცია იმასაც ამბობს, დემოკრატია იღუპებაო, თუმცა იგივე ინსტიტუტები წერენ, რომ დემოკრატიის ხარისხით, თავისუფლების ინდექსით და მართვის ეფექტურობით ევროკავშირის ბევრ ქვეყანას ვუსწრებთ... როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ მათი დღის წესრიგით ვერ ვიმოქმედებთ - საკუთარი გეგმები გვაქვს, კერძოდ, ამ ქვეყანაში წესრიგის შენარჩუნება, ინფრასტრუქტურის განვითარება და მოქალაქეების კეთილდღეობა.

- „ქართული ოცნება“ ზედიზედ მოდის ხელისუფლებაში. რამდენად ადასტურებს ეს ქვეყანაში დემოკრატიულობის მაღალ ხარისხს?

- ვინც ვერ ერკვევა პოლიტიკაში ან ცდილობს მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას, არც აინტერესებს, რატომ და როგორ მიმდინარეობს ესა თუ ის პროცესი. ხელისუფლებაში ყოფნის ჯერადობა განსაზღვრულია, როდესაც არის ინდივიდუალური თანამდებობები და როდესაც ზედიზედ ირჩევენ ერთსა და იმავე პიროვნებას (უფრო პრეზიდენტი იგულისხმება), ანუ პრეზიდენტის არჩევა ისაზღვრება არა უმეტეს ორი პერიოდით. თუკი ამ პროცესმა მიიღო მრავალჯერადი სახე, მაშინ უკვე საქმე გვაქვს ტირანიასთან. როდესაც საპარლამენტო რესპუბლიკის ჯერადობაზეა საუბარი, სულ ცოტა, პოლიტიკის უცოდინრობაა, რადგან ერთი და იგივე პოლიტიკური ორგანიზაცია შეიძლება ქვეყნის სათავეში მოვიდეს ზედიზედ ათჯერ. ეს არცერთ ქვეყანაში არ იზღუდება და ამის საუკეთესო მაგალითია გერმანია, სადაც ქრისტიანდემოკრატიული პარტია ზედიზედ მოდის ხელისუფლებაში. კანცლერი ანგელა მერკელიც არ შეუცვლიათ ხუთგზის. თუკი მცირე ექსკურსს გავაკეთებთ, ვნახავთ, რომ 2005 წელს, როდესაც ანგელა მერკელი პირველად გახდა გერმანიის კანცლერი, ჯერ კიდევ არ არსებობდა iPhone, ლიბერალური დემოკრატიის მოდელი კი ჰეგემონიური იყო. მერკელის კანცლერობის პერიოდში საფრანგეთსა და აშშ-ში შეიცვალა 4 პრეზიდენტი, 5 პრემიერი გამოიცვალა დიდმა ბრიტანეთმა და 8 - იტალიამ. ის ახლაც მთავრობის წევრია. დღეს ოლაფ შოლცი მართავს ქვეყანას, რომელიც იგივე პარტიის წარმომადგენელია. ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია 6-ჯერ მოვიდა გერმანიაში უმრავლესობით, რა თქმა უნდა, სხვადასხვა კონფიგურაციით. ახლა მწვანეთა პარტია ჰყავს გვერდით, მანამდე - თავისუფალ დემოკრატთა კავშირი, უფრო ადრე სოციალისტებსაც შეეკრა... ყველაფერ ამას პირობითად გეუბნებით, რათა ავხსნა, რომ ის, რაც ჩვენ ირგვლივ ხდება, ევროკავშირის ქვეყნებისთვის აპრობირებული პროცესია. გაიხსენეთ, პირველი ოთხი წელი სხვა პარტიებთნ ჰქონდა კოალიცია „ქართულ ოცნებას“, შემდეგ სამპარტიული კავშირი შეიკრა „მწვანეებთან“ და „სოციალისტებთან“, ახლა კავშირი გვაქვს „ხალხის ძალასთან“... ანუ ათასნაირი კონფიგურაციაა შესაძლებელი, აქ საუბარი ჯერადობაზე არარელევანტური და უადგილოა. ნებისმიერი პოლიტიკური პარტია იქმნება ხელისუფლებაში მოსასვლელად, ხოლო რა სიდიდით, რა კოალიციით და კონფიგურაციით მოვა, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ამ თემაზე საუბარი, ისევ და ისევ, ხალხის შეცდომაში შეყვანაა, აქაოდა, უკვე რამდეჯერ იყვნენ და კიდევ რამდენჯერ უნდა მოვიდნენო. შეიძლება, რამდენიმე ადამიანი დააჯერონ, რომლებიც ავტომატურად გაავლებენ პარალელს პრეზიდენტის ინსტიტუტთან და აღნიშნავენ, რომ მართლაც რამდენჯერ უნდა მოვიდნენო... აქ მთავარია, არ განმეორდეს პიროვნება. კარგად ვიცით, რაც ხდება, როდესაც ორჯერ მოდის კაცი პრეზიდენტის თანამდებობაზე, შემდეგ კონსტუტუციას გადააკეთებს და იგივე უფლებებით პრემიერად მოგვევლინება ან გაიხსენეთ მეზობელი ქვეყანა, როგორი გაცვლა-გამოცვლა ითამაშეს. აი, მსგავსი რამ იქცევა შემდეგ პრობლემად.

- „რუსულ კანონთან“ დაკავშირებით რას გვეტყვით? თითქოს უცხოეთიდან საქართველოსთვის გამიზნული ბევრი დახმარება შეწყდა და უამრავი პროექტი შეჩერდა, მათ შორის - აჭარაშიც.

- არა, არა, დახმარებები საერთოდ არაფერ შუაშია. ეს არის კანონი, რომლითაც განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ შემოსავლების დეკლარირება. ეს ჩვეულებრივი საკანონმდებლო ნორმაა. მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ მიიღო და ბევრი აპირებს მის მიღებას. ამ კანონის გამო ატეხილი აჟიოტაჟი, ისევ და ისევ, ქვეყანაში ჩვეული რიტმის დარღვევის, მოქალაქეების დეზორიენტაციის, ქვეყანაში დესტაბილიზაციის მცდელობა იყო და მეტი არაფერი. ადრეც ვთქვი, რომ არ არსებობს ახალგაზრდა, განათლებული ადამიანი, რომელიც ბრმად აჰყვება ზღაპრებს და არ წაიკითხავს კანონს, სადაც ყველაფერი გარკვეულადაა გაწერილი, ყოველგვარი ქვეტექსტების გარეშე. მოკლედ, ვინც წაიკითხავს, მიხვდება, რომ მის ირგვლივ დატრიალებული აურზაური სრული აბსურდია.

- რატომ შეარქვეს „რუსული კანონი“?

- ამით ასოციაციურად აკავშირებდნენ რუსეთთან, თორემ ჩვენ მიერ მიღებულ კანონს არაფერი აქვს საერთო რუსულთან. კერძოდ, რუსული კანონი საერთოდ უკრძალავს ქვეყნის სამოქალაქო ორგანიზაციებს, დაფინანსდნენ უცხოელი დონორებისგან საქველმოქმედო, საგანმანათლებლო და პოლიტიკური აქტივობის მიმართულებით. ფრანგულ კანონში კი აღნიშნულია, რომ უცხოეთიდან დაფინანსებულ ორგანიზაციას ეკრძალება რაიმე სახის პოლიტიკური აქტივობა და განცხადებების გაკეთება. ქართული კანონი, მხოლოდ და მხოლოდ, ფინანსური დეკლარაციის შევსებას ითხოვს. საპირისპირო შემთხვევაში ორგანიზაციას ემუქრება ჯარიმა და თუკი არ გადაიხდის დაკისრებულ თანხას, არავინ შეუჩერებს ამ ორგანიზაციას მოქმედების თავისუფლებას. არანაირი აკრძალვები არ არის გაწერილი. არ ვიცი, აქ რა შუაშია შეჩერებული პროექტები და დაკარგული ფინანსები. თუკი დონორი ორგანიზაციები არ მოინდომებენ საკუთარი სახსრების მონიტორინგს, დეკლარაციის შევსებას და ამის გამო შეწყვეტენ ამა თუ იმ პროექტის დაფინანსებას, ეს უკვე სულ სხვა თემაა.

- ამ არჩევნებში ვინ მიგაჩნიათ რეალურ მეტოქედ და როგორია ამჟამად ძალთა გადანაწილება პარტიებს შორის?

- ვფიქრობ, ამ ეტაპზე რეალური მეტოქე არც გვყავს. „ნაციონალებს“ ვეღარ მივიჩნევთ რეალურ ძალად. თავად აირჩიეს ეს გზა, ალბათ, ვიღაცამ ურჩია, რომ ეს სახელი არ მოსწონს ამომრჩეველთა უმრავლესობას. ამჟამად, „ნაცმოძრაობა“ წარმოდგენილია მრავალი სათაურის ქვეშ. ალბათ, იმედი აქვთ, რომ ასეთი სახით სათითაოდ მაინც გადალახავენ ხუთპროცენტიან ბარიერს... რა მიიღეს ამ გახლეჩვით, ვერ გავიგე, ერთმანეთს გაუფუჭეს საქმე და თავისთავად დაიშალნენ. რაც შეეხება რეალურ მეტოქეს, ერთიანი, ღირსეული პარტიის დასახელება ძნელია, რადგან საქართველოს პოლიტიკურ ველზე არ არსებობს ასეთი.

- რა გაკეთდა აჭარაში ამ ბოლო დროს?

- აჭარაში ძალიან ბევრი რამ უკვე გაკეთდა და ახლაც კეთდება, მარტო გზების დაგება და კეთილმოწყობა რად ღირს. როგორც უკვე ვიცით, გოდერძის უღელტეხილამდე მისულია შემოვლითი გზა. ხულოდანაც დიდი მანძილია გავლილი და მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა. ბათუმში ინფრასტრუქტურული პროექტები ერთი-მეორის მიყოლებით სრულდება. იხსნება ახალ-ახალი ობიექტები, საწარმოები, სკვერები, პარკები. გამწვანების პოლიტიკაც, ალბათ, ხედავთ, როგორ მაღალ დონეზეა. უკვე აღარ არსებობს ქალაქის ცუდი თუ კარგი უბანი, მთისძირის ქუჩამდე მოწესრიგებულია ყველაფერი. ბათუმის შემოვლითი გზაც დღეს-ხვალ დასრულდება. ბათუმი-თბილისის მაგისტრალით რამდენად შემცირდა მანძილი და როგორი კომფორტულია მგზავრობა, თქვენც იცით. სოფლის მეურნეობის კუთხითაც უამრავი რამ კეთდება. ყველაფერს ნამდვილად ვერ ჩამოვთვლი... რაც მთავარია, მსოფლიო ომების ფონზე ჩვენთან არსებული მშვიდობა კიდევ უფრო მრავლისმეტყველია და ზემოთ ჩამოთვლილი მიღწევები გაცილებით მეტ აზრს იძენს. აქედან გამომდინარე, მინდა, მივმართო ელექტორატს, რომ ხმის მიცემის დროს გაიხსენოს, გაიაზროს ყველაფერი, რაც ამ ქვეყანაში ხდება, რაც ყველას თვალწინაა, რაც ხილულია და გააკეთოს საკუთარი არჩევანი ცივი გონებით, დაფიქრების საფუძველზე.

„დაუშვებელია, ხელისუფლებაში დაბრუნების თუნდაც თეორიული შესაძლებლობა დარჩეს“

„ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა საბჭომ განცხადება გამოაქვეყნა და საზოგადოებას სწორი არჩევანის გაკეთებისკენ მოუწოდა

„2024 წლის საპარლამენტო არჩევნები არის ერთგვარი რეფერენდუმი, სადაც ქართველმა ხალხმა საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს, ირჩევს ომს თუ ირჩევს მშვიდობას, ირჩევს მორალურ დეგრადაციას თუ ირჩევს ტრადიციულ ფასეულობებს, ირჩევს გარე ძალებზე საქართველოს მონურ დამოკიდებულებას თუ ირჩევს დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს, ირჩევს კოლექტიურ „ნაციონალურ მოძრაობას“ თუ ირჩევს „ქართულ ოცნებას“, - ნათქვამია განცხადებაში.

მათი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნება“ საპარლამენტო უმრავლესობას მოიპოვებს, მოკლევადიანი, 4-წლიანი ამოცანა წარმატებით შესრულდება და საქართველოში გაიმარჯვებს მშვიდობა. განცხადებაში განმარტებულია, თუ რისთვის სჭირდებათ საკონსტუტიციო უმრავლესობა.

„პირველ რიგში, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება გვჭირდება პოლიტიკური სისტემის თვისობრივად გასაჯანსაღებლად, რისი მიღწევაც პოლიტიკიდან კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ ჩამოშორების გარეშე შეუძლებელია. საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებისთანავე, ჩვენ დავაინიციერებთ სამართლებრივ პროცესს, რომლის შედეგადაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ყველა მისი სატელიტი თუ მემკვიდრე პარტია არაკონსტიტუციურად გამოცხადდება“, - აღნიშნულია განცხადებაში.

ასევე, საუბარია „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობაზე, იმაზე, რომ დღემდე ვერ მოხდა მისი სათანადო გასამართლება, რადგან მათ „უცხოელი მფარველები“ იცავენ.

„2008 წლის დანაშაულის მონანიების მაგივრად, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ კიდევ ერთხელ ეჭაჩებოდა და დღესაც ეჭაჩება საქართველოს ომისკენ. ამ ფონზე, ამ დანაშაულებრივი ძალის გასამართლებამ დღეს სულ სხვა აქტუალობა შეიძინა.

იხ. მე-9 გვ.

საარჩევნო ორთაბრძოლა და ოპოზიციის გაურკვეველი ბედი

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

საარჩევნო მარათონი პრაქტიკულად დაწყებულია. „ქართულმა ოცნებამ“ დაასახელა 22 დელეგატი, რომლებიც რეგიონებში საარჩევნო კამპანიას გაუძღვებიან. მმართველი გუნდი დელეგატებს ოცდაათივე საარჩევნო ოლქში წარადგენს

„როგორც მოგეხსენებათ, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება სრულად პროპორციული სისტემით. ასევე იცით, რომ მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას აქვს სერიოზული უარყოფითი მხარეები, რაც, პირველ რიგში, ამომრჩეველსა და კანდიდატებს შორის კავშირის შესუსტებით გამოიხატება. ამ ნაკლოვანების გარკვეულწილად აღმოსაფხვრელად, საარჩევნო კანონმდებლობით შემოღებულ იქნა დელეგატის ინსტიტუტი. შეგახსენებთ, რომ დელეგატები არიან პარტიის პროპორციულ საარჩევნო სიაში წარმოდგენილი კანდიდატები, რომლებიც კონკრეტულ საარჩევნო ოლქებში კამპანიის წარმოებაზე და, უკვე არჩევნების შემდეგ, საქართველოს პარლამენტში შესაბამისი ამომრჩევლის ინტერესების დაცვაზე იქნებიან პასუხისმგებელნი“, - განაცხადა დელეგატების წარდგენისას ირაკლი კობახიძემ.

საზოგადოებისთვის უკვე კარგად ცნობილი ოპოზიციური გაერთიანებებიც, ერთ დროს ერთმანეთთან დაპირისპირებული პოლიტიკოსები დღეს ბიძინა ივანიშვილთან ბრძოლამ გააერთიანა. ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა ფრაზა „ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია“ რეალურად აქციეს.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ გამართა პლატფორმის „ერთიანობა საქართველოს გადარჩენისთვის“ პრეზენტაცია, რომელსაც „სტრატეგია აღმაშენებელი“, ასევე დეპუტატები თამარ კორძაია და არმაზ ახვლედიანი შეუერთდნენ. შემდეგ ვიხილეთ 4 ნომრის ქვეშ გაერთიანებული პარტიების - „ახალი“, „გირჩი - მეტი თავისუფლება“ და „დროა“ პრეზენტაცია, რამდენიმე დღის წინ კი მათ რესპუბლიკური პარტია და ორგანიზაცია „აქტივისტები მომავლისთვის“ შეუერთდნენ. არ უნდა დაგვავიწყდეს „ლელოს“, ანა დოლიძის პარტიის - „ხალხისთვის“ და პლატფორმის „თავისუფლების მოედანის“ გაერთიანება. ახლა კი ჯერი ერთგვარად დასუსტებულ „ევროპულ საქართველოსა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ გაერთიანებაზე მიდგა.

„ჩვენი მთავარი ამოცანა იყო ოპოზიციური ხმების კონსოლიდაცია, შესაბამისად, ვაწარმოეთ მოლაპარაკება სხვადასხვა კოალიციასთან, მაგრამ ყველაზე სწრაფი გადაწყვეტილება, ღიაობა და ა.შ. ჰქონდა კოალიცია „ერთიანობას“. შესაბამისად, ჩვენ შევუერთდით კოალიცია „ერთიანობას“, რათა ამ კრიტიკულ არჩევნებზე არცერთი ოპოზიციური ხმა არ დაიკარგოს. ეს არ ნიშნავს პარტიების შეერთებას. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, „ევროპული საქართველო“ გახდა კოალიცია „ერთიანობის“ ნაწილი ისევე, როგორც „სტრატეგია აღმაშენებელი“, - განაცხადა „ევროპული საქართველოს“ წევრმა გიგი წერეთელმა.

ამასთან, რამდენიმე დღის წინ „ევროპული საქართველოს“ თავჯდომარე გიგა ბოკერიამ, ასევე, თამარ ჩერგოლეიშვილმა, ოთარ კახიძემ, ვახტან კალოიანმა, თენგო კირთაძემ და სხვა წევრებმა დატოვეს პარტიის შიდა პრაიმერიზის შედეგების მიუღებლობით წარმოქმნილი დაპირისპირების გამო და ახალი პარტია „ფედერალისტები“ წარადგინეს.

„ფედერალიზმი არაა მხოლოდ სახელმწიფო მოწყობა, ფედერალიზმი არის ის სისტემა, რომელიც წარმოქმნის ძალის ისეთ გაწონასწორებას და შეკავებას, სადაც ადამიანის სიცოცხლეს, მის უნარებს განსაკუთრებული ფასი ედება და ესაა ჩვენთვის ძალიან ბუნებრივი“, - აღნიშნა თამარ ჩერგოლეიშვილმა.

მმართველი გუნდის შეფასება ოპოზიციის მიმართ არ იცვლება. მათთვის ყველანაირი გაერთიანება ისევ სიძველესა და კოლექტიურ „ნაცმოძრაობასთან“ ასოცირდება. „ქართული ოცნების“ წევრების თქმით, არავითარ გაერთიანებას აზრი არ აქვს, რადგან ოპოზიციისთვის ოქტომბრის არჩევნები წაგებულია.

რა სიახლეს უნდა ველოდოთ ოპოზიციური პარტიებისგან და ვინ დგას გაერთიანების რიგში, ამას დრო გვიჩვენებს.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად პარტია „ხალხის ძალის“ წევრები „ნაციონალური მოძრაობის“ დანაშაულებზე ალაპარაკდნენ. მათ განცხადება გამოაქვეყნეს და აღნიშნეს, რომ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა ყველა დანაშაულისთვის კანონის ძალის მთელი სიმკაცრით უნდა აგონ პასუხი.

„ხალხის ძალის“ წერილში ხაზგასმითაა საუბარი იმაზე, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი ადამიანების წამებასა და მკვლელობასთან, ასევე, ბიზნესის რეკეტთან, ტელევიზიების მიტაცებასთან, არჩევნების ტოტალურ გაყალბებასთან ერთად, არის „ნაციონალური მოძრაობის“ უმთავრესი დანაშაული, რის გამოც ამ პარტიამ პასუხი უნდა აგოს.

აღნიშნულ საკითხს მოჰყვა სხვადასხვა სახის გამოხმაურება. „ქართულ ოცნებაში“ „ხალხის ძალის“ განცხადებას ეთანხმებიან, ხოლო „ნაციონალურ მოძრაობას" არგუმენტად ის აქვს, რომ საქართველოს უდანაშაულობა 2008 წლის ომში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციამ უკვე დაადასტურა და ამიტომ ამ ყველაფრის გახსენება აღარ არის საჭირო.

„საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიაში დადანაშაულებული არის რუსეთი. ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამეგობრობას კითხვები არ აქვს. ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებს, ეს არის რუსეთი და ერთადერთი მთავრობა, რომელიც იმეორებს რუსეთის ფედერაციის მოსაზრებებს, არის „ქართული ოცნება“. მმართველობის 12 წლის თავზე, მაშინ, როდესაც „ქართულ ოცნებას“ სხვა აღარაფერი აქვს სათქმელი საქართველოს მოქალაქეებისთვის, ის უბრუნდება ბრძოლას იმ პარტიასთან, რომელიც დაამარცხა 12 წლის წინ“, - განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს წევრმა გია ჯაფარიძემ.

მმართველი გუნდისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ არგუმენტები უსაფუძვლოა, რადგან მათ თავად აქვთ ხელი მოწერილი ისეთ დოკუმენტებზე, სადაც რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებაში ქართველ სამხედროებს ადანაშაულებენ.

„ნაციონალური მოძრაობის“ გასამართლება - ეს არის მთლიანად უმრავლესობის, მმართველი გუნდის საერთო პოზიცია. რა თქმა უნდა, „ენმ“ აუცილებლად უნდა გასამართლდეს სხვადასხვა დანაშაულისთვის, მათ შორის, ეს არის 2008 წლის აგვისტოს დანაშაული, რომელიც მათ ჩაიდინეს. თუმცა, ასევე, არის ის სხვა მრავალი დანაშაული, რაც მათ 9 წლის განმავლობაში ჩაიდინეს. რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოს ომის მომწიფებას, რეალურად, ნაბიჯ-ნაბიჯ კეთდებოდა ყველაფერი იმისთვის, რომ მომხდარიყო ის, რაც მოხდა. საბოლოო ჯამში, მოხდა ქვეყნის ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია. ამისთვის, 2005 წლიდან მოყოლებული, ვითარებას „ნაციონალური მოძრაობა“ ნაბიჯ-ნაბიჯ ამწიფებდა“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

2012 წელს, როდესაც „ქართული ოცნება“ სათავეში მოვიდა, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ მიმართებაში კობიტაცია გამოაცხადა, თუმცა მმართველი გუნდის წევრები მალევე მიხვდნენ, რომ ეს შეცდომა იყო. გავიხსენოთ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი ღარიბაშვილის 2019 წლის განცხადება.

„აღმოჩნდა, რომ ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა იყო ე. წ. კობიტაცია, მე არ მოვერიდები ამის თქმას. ჩვენ ყველა მოგვიწოდებდა, ჩვენი პარტნიორები, ჩვენი გუნდის შიგნით ვითომ პარტნიორები, რომ ეს იყო ერთადერთი სწორი გზა და მე ახლა ვამბობ, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა. ამ შეცდომას სჭირდება გამოსწორება და ჩვენ ძალიან აქტიურად, განახლებული ენერგიით გამოვასწორებთ ამ და სხვა შეცდომებს“, - აღნიშნა ღარიბაშვილმა.

ფაქტია, კობიტაციამ არ იმუშავა და ერთ დროს ვითომდა „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ „შეხმატკბილებულმა“ თანაარსებობამ შედეგი ვერ გამოიღო. ისინი ყოველთვის „კატა-თაგვობანას“ პრინციპით მოქმედებდნენ, ახლა კი ურთიერთობა უკონტროლოდ დაძაბულია.

რა ბედი ეწევა „ქართული ოცნების“ მიზნებს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაკავშირებით და რას უნდა ველოდოთ ოპოზიციისგან? - ამაზე პასუხს გაგვცემს მოახლოებული ოქტომბრის არჩევნები.

არჩილ ბერიძე: ახლა არის დრო, შიშს სიყვარულით უპასუხო

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში წარსადგენი „ოცნების“ დელეგატები დაასახელა. ბათუმის დელეგატობის კანდიდატად მუსიკოსი, ანსამბლ „ალილოს“ წევრი არჩილ ბერიძე წარადგინა

ფაქტს არჩილ ბერიძე გამოეხმაურა:

„მოგესალმებით, მეგობრებო! კიდევ ერთხელ გიხდით დიდ მადლობას იმ გამოხმაურებისთვის და სიყვარულისთვის, რაც ბოლო დღეების განმავლობაში ჩემსა და ჩემი სოლო კონცერტის მიმართ გამოხატეთ. ეს განწყობა ძალიან დიდ სტიმულს მომცემს მომავალ შემოქმედებით საქმიანობაში.

რაც შეეხება დღევანდელ გადაწყვეტილებას, ნაკარნახევია ჩემი ოჯახის, ქალაქის, ქვეყნის უპირობო სიყვარულით, უფრო მეტის შექმნის და გაკეთების სურვილით. ნამდვილად არ იყო მარტივი გადაწყვეტილება, რთულია გამოხვიდე კომფორტის ზონიდან, როცა ყველაფერი გაქვს ბედნიერებისთვის - სიმშვიდე, ჰარმონია, საყვარელი ადამიანები და, რაც ყველაზე მთავარია, მისი აღმატებულება, შენი სიმღერით აღტაცებული მსმენელი და უეცრად ამ შენი საყვარელი მსმენელის დაკარგვის შიში... თუმცა, სწორედ რომ შიშის გააზრებამ და ბევრი ბარიერის გაანალიზებამ მომცა ზუსტად იმის შთაგონება, რომ სწორედ ამ დროს გეძლევა კიდევ უფრო დიადი საქმეების კეთების საშუალება, რომ ახლა არის დრო, შიშს სიყვარულით უპასუხო, რომ კიდევ უფრო მეტის შექმნის საშუალებას გაძლევს სამყარო.

სამშობლოს სამსახურში ყოფნა დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, ხოლო ჩემი პოლიტიკური აქტივობა არ არის ახალი ბათუმელებისთვის, მქონდა პოლიტიკური ნაბიჯები სტუდენტობის პერიოდში - 2007 წელს, ახლა კი თითქოს ერთგვარი დაბრუნება ხდება და დიდი იმედი მაქვს, თქვენი მხარდაჭერით, იქნება წარმატებული იმ გუნდთან ერთად, რომლის პოლიტიკური შეხედულებები ყოველთვის ემთხვეოდა ჩემსას.

სიმღერისგან შორს არ მივდივარ, პირიქით, ვრჩები ჯგუფ „ალილოში“ და ვაგრძელებ სოლო კარიერას. იმედი მაქვს არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, უფრო აქტიურად ვიზრუნებ ქართულ კულტურასა და ხელოვნების განვითარებაზე.

მადლობა ბატონ პრემიერს და „ქართული ოცნების“ გუნდს გამოცხადებული ნდობისათვის“.

ცნობისთვის: ქობულეთიდან დელეგატი ბიზნესმენი გია ჭყონია იქნება, ხელვაჩაურში, ქედაში, შუახევსა და ხულოში მოქმედი დეპუტატი ანზორ ბოლქვაძე, რომელიც მეხუთედ ემზადება საპარლამენტო არჩევნებისთვის.

„ყველა დელეგატი პროპორციულ სიაში წარმოდგენილი იქნება გამსვლელ ადგილზე, შესაბამისად, ჩვენ უზრუნველვყოფთ იმას, რომ მომდევნო მოწვევის პარლამენტში, უკლებლივ ყველა ქალაქს და რეგიონს ეყოლება თავისი წარმომადგენელი და ამით ნაწილობრივ იქნება აღმოფხვრილი ის ნაკლოვანება, რომელიც არის დაკავშირებული მაჟორიტარული სისტემის გაუქმებასთან“, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ.

დღეს რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს...

„ქართული ოცნება“ ირწმუნება, რომ ოქტომბრის არჩევნებზე საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს, ოპოზიცია კი მიიჩნევს, რომ ერთობლივად შეძლებს „ოცნების“ დამარცხებას. ანალიტიკოსი ედიშერ გვენეტაძე მიიჩნევს, დღეს რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება გარანტირებული ექნება და ბევრად მეტსაც აიღებს, ოპოზიცია კი „კატასტროფულად დამარცხდება“. ანალიტიკოს ვახტანგ ძაბირაძის აზრით, „ქართულ ოცნებას“ არათუ საკონსტიტუციო უმრავლესობის, უბრალო უმრავლესობის მოპოვების შანსიც არ აქვს, მისი რეიტინგი 35%-მდეა.

„ამ წუთში რომ არჩევნები ჩატარდეს, „ქართული ოცნება“ არა 60%-ს, არამედ 70-75%-ს აიღებს, ქვეყანა ისეთ სიტუაციაშია ოპოზიციისგან. ოპოზიცია ის ძალაა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ გარე ძალების ინტერესების მიხედვით მოქმედებს და რომელსაც „ოცნების“ პოლიტიკური საბჭო „გლობალური ომის პარტიას“ უწოდებს... „ქართულ ოცნებას“ არც ერთი შემთხვევისთვის არ გაუჭირდება, რომ არა მხოლოდ საკონსტიტუციო უმრავლესობა, არამედ ბევრად მეტიც მოიპოვოს. მოლოდინი მაქვს, რომ 113 მანდატზე ბევრად მეტს აიღებს. რეგიონებში დავდივარ, დასავლეთ საქართველოსა და სხვა ადგილებში ვიყავი, ხალხს გავესაუბრე და ამ ოპოზიციის დანახვაც არ უნდა. არ ვსაუბრობ, რომ „ქართული ოცნება“ ანგელოზებით სავსე კრებულია, არა, ბატონებო! მაგრამ ე. წ. ოპოზიციის ფონზე, მართლაც ფრთიანი ანგელოზები არიან. „ქართულმა ოცნებამ“ ამ 12 წლის მანძილზე ქვეყანაში ერთი უმთავრესი რამ შეინარჩუნა - მშვიდობა, ასევე ქვეყანას არ დაუკარგავს ტერიტორიების ერთი სანტიმეტრიც კი და ამასთან ერთად (არ ვსაუბრობ, რომ რაღაც სასწაულად, მაგრამ), ასე თუ ისე, ხალხის ცხოვრების დონე გაუმჯობესდა“, - აცხადებს ერთ-ერთ გამოცემასთან საუბრისას ედიშერ გვენეტაძე.

„ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობის კი არა, უბრალო უმრავლესობის შანსიც არ აქვს. ხვალ რომ არჩევნები ტარდებოდეს, „ქართული ოცნება“ 30-დან 35%-მდე აიღებს, დაახლოებით. ეს მისი დღევანდელი მონაგარია. რაც შეეხება ოპოზიციას, იქ პრობლემები, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ჯამურად, დღეის მდგომარეობით (არ ვიცი, რა იქნება ხვალ და ზეგ) ამ ოთხ პლატფორმას 5%-იანი ბარიერის დაძლევის პრობლემა არ აქვს, მიიღებს გაცილებით მეტს, ვიდრე „ოცნებას“ ექნება. ოპოზიცია ჯამურად „ოცნებას“ მოუგებს, მანდატების გადანაწილების შემდეგ, ოპოზიციას, რა თქმა უნდა, უმრავლესობა ექნება“, - ამტკიცებს ვახტანგ ძაბირაძე.

სამუშაო არის, უმუშევრობაც... კადრები?

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

იმის მიუხედავად, რომ ყველა უმუშევრობაზე საუბრობს, საქსტატი აქვეყნებს ბოლო კვარტალის დამაიმედებელ მონაცემებს, სადაც გარკვევით წერია, რომ უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად შემცირდა. ამ საკითხზე ვთხოვეთ ინტერვიუ აჭარის დასაქმების სააგენტოს დირექტორ ***თემურ კახიძეს.***

- ბატონო თემურ, რას გვეტყვით უმუშევრობის კლებასთან დაკავშირებით, რამდენად რეალურია საქსტატის მონაცემები?

- მონაცემებში ეჭვის შეტანის არანაირი საფუძველი არ გაგვაჩნია. საქსტატის მიერ წინა კვარტალთან გაკეთებული შედარებითი ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ წინა წლის მეორე კვარტალთან შედარებით, უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად - 3,1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 13,7 პროცენტი შეადგინა. 2024 წლის პირველ კვარტალშიც უმუშევრობის დონე წინა წლის პირველ კვარტალთან შედარებით, ასევე მნიშვნელოვნად - 4,0 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 14,0% შეადგინა. ამასთან, 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში შესაბამისი კვარტალების ჭრილში დასაქმებულთა რეკორდული ოდენობა დაფიქსირდა. მეორე კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობა 60,5 ათასით გაიზარდა და მილიონ 388 ათასი გახდა, უმუშევართა რაოდენობა კი 47,2 ათასით შემცირდა და 219,7 ათასს გაუტოლდა. დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა 19,1 ათასით გაიზარდა და 935,8 ათასია, ხოლო თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა 41,3 ათასით გაიზარდა და 451,5 ათასი შეადგინა.

- ეს მონაცემები ქვეყნის მასშტაბითაა გაანგარიშებული. რა სიტუაციაა აჭარაში?

- რეგიონალურ ჭრილში კვარტალური მონაცემები ჯერ კიდევ არ არის ოფიციალურად გასაჯაროებული საქსტატის გვერდზე, თუმცა, წინა წლების გამოცდილებით, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ აჭარა ყოველთვის გამოირჩეოდა დასაქმების მაღალი ტემპით. ჯერ კიდევ 2022-2023 წლებში არსებულ ანგარიშებს თუ შევადარებთ ქვეყნის მასშტაბით არსებულს, თუკი ქვეყანაში უმუშევრობის დონე შემცირდა 0,9 ერთეულით, აჭარაში ეს მაჩვენებელი 6,2 იყო. ახლა ციფრებით თავს არ შეგაწყენთ, მაგრამ ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკა ყოველთვის გამოირჩეოდა უკეთესი მონაცემებით.

- რითი ხსნით ამ ფაქტს?

- ეს მარტივად აიხსნება: ბოლო პერიოდში აჭარაში ხორციელდება ძალიან მასშტაბური პროექტები, განსაკუთრებით, სტუმარმასპინძლობის სფეროში. ბევრი ახალი ობიექტი გაიხსნა, რაც მკვეთრად ზრდის შრომითი რესურსების მოთხოვნის ხარისხს. შრომის ბაზარზე სრულიად ახალი მაჩვენებელია მოთხოვნა-მიწოდებას შორის. მოთხოვნა მიწოდებაზე გაცილებით მეტია ანუ კადრების დეფიციტია. ერთი მხრივ, გაჩნდა სამუშაო ადგილები და, მეორე მხრივ, ვერ ვაკმაყოფილებთ სათანადო რესურსით.

- ცოტა არ იყოს, გაუგებარია: სამუშაო არის, უმუშევრობაც და... კადრები არ არის?

- ერთი შეხედვით, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია. გვაქვს კონკრეტული პროფესიების დეფიციტი, რადგან ის პროფესიონალები, რომლებიც თანამედროვე პროექტების შესრულების დროს სჭირდებათ, აღარ გვყავს. ესენია ტექნიკოსები, შემდუღებლები, ელექტრიკოსები, ინჟინრები... მოკლედ რომ ვთქვათ, შრომით ბაზარზე არ გვყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე რესურსი. აქედან გამომდინარე, ვამბობ, რომ გაცილებით მეტი სამუშაო ადგილია, ვიდრე ჩვენ - აჭარის დასაქმების სააგენტოს შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ.

- უკვე კარგა ხანია, ეს პრობლემა დგას. რატომ ვერ შევძელით საჭირო კვალიფიკაციის კადრების მომზადება?

- ამას სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზი აქვს. გვერდს ვერ ავუვლი იმასაც, რომ კარგი პროფესიონალი მაღალანაზღაურებად ადგილს ეძებს, მათ შორის - ევროპის ქვეყნებშიც, რადგან იქაც მოთხოვნაა ამ სპეციალისტებზე. აქედან გამომდინარე, დასკვნა მარტივია: თუკი ადამიანი დაეუფლა პროფესიას, რატომ დარჩება იქ, სადაც ნაკლები შემოსავალი ექნება?!

- ეს პრობლემა იქნება მანამ, სანამ არ გაიზრდება ანაზღაურება...

- ჩვენთან უკვე საკმაოდ გაიზარდა ხელფასები, განსაკუთრებით, სტუმარმასპინძლობის სფეროში. აქ დასაქმებულები ახლა გაცილებით მეტს იღებენ, ვიდრე ადრე წარმოიდგენდნენ. იგივე სიტუაციაა ტურიზმის სეგმენტში. ამით იმის თქმა მინდა, რომ მოთხოვნის მიხედვით იზრდება ანაზღაურებაც, თუმცა ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იმ ზღვარს, რომ ჩვენს მოქალაქეებს არ გაუჩნდეთ საზღვარგარეთ წასვლისა და იქ მუშაობის სურვილი.

- თქვენს სააგენტოში უმუშევართა რეგისტრაცია სავალდებულოა? რამდენი უმუშევარია დღესდღეობით ავტონომიურ რესპუბლიკაში?

- რეგისტრაცია ნებაყოფლობითია, შესაბამისად, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით მსჯელობა არ იქნება მართებული, მაგრამ ორი კვარტალის მონაცემების საფუძველზე გეტყვით, დაახლოებით რა საქმიანობას ვეწევით. შემიძლია გაგიზიაროთ აჭარის დასაქმების სააგენტოს შრომის ბაზრის მართვის ერთიან ელექტრონულ ბაზაში არსებული მონაცემები. ამ ხნის განმავლობაში დარეგისტრირდა 797 სამუშაოს მაძიებელი, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3,5 პროცენტით მეტია. მნიშვნელოვნად, დაახლოებით 12 პროცენტით არის გაზრდილი საშუამავლო მომსახურება და შეადგინა 7754 ერთეული. ორგანიზაციების რეგისტრაციამაც უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იმატა 0,2 პროცენტით. დღეს სისტემაში 5000-ზე მეტი დამსაქმებელი ორგანიზაციაა რეგისტრირებული.

- ვაკანსიები არის?

- რაც შეეხება ვაკანსიებს, უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ მხოლოდ კერძო სექტორს ვემსახურებით. 3102 სამუშაო ადგილი გვქონდა ამ ორი კვარტალის განმავლობაში. ასევე, დასაქმების ზრდა გვაქვს თითქმის სამი პროცენტით. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ შარშანდელთან შედარებით გაზრდილია გრძელვადიანი დასაქმების მაჩვენებელი, რომელმაც 40 პროცენტზე მეტი შეადგინა. თუკი წინათ სჭარბობდა დროებითი, სეზონზე მიბმული სამუშაო ადგილები, დღეს იმდენად გაზრდილია სამუშაო ძალაზე მოთხოვნა, ორგანიზაციები უკვე მუდმივ სამსახურებს სთავაზობენ დაინტერესებულ პირებს. ის ფაქტიც ხაზგასასმელია, რომ ბიზნესმენთა 90 პროცენტს სჭირდება ადამიანური რესურსი, თუმცა სამუშაოს მაძიებელთა ნაწილი, წინასწარი თანხმობის მიუხედავად, არ მიდის დამსაქმებლამდე. მსგავსი ფაქტი ბევრი იყო, რასაც თავად დამსაქმებლებიც დამიდასტურებენ, ანუ არის მოთხოვნა, არის მიწოდება, მაგრამ არ არის სამუშაო მზაობა.

- ისევ იმ მოჯადოებულ წრეზე გავდივართ - არის მოთხოვნა, არ არის მიწოდება, გაჩნდა კადრების დეფიციტი. ამ შემთხვევაში, საბაზრო ეკონომიკის ყველა კანონით, ხომ უნდა გაიზარდოს ანაზღაურება?

- თუკი გადახედავთ საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს, დაინახავთ, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა საშუალო ხელფასი.

- გაიზარდა ფასებიც, ასე რომ, ხელფასის მსყიდველუნარიანობა იგივე რჩება.

- გეთანხმებით, მაგრამ არა იმათთვის, ვინც მაღალი სტანდარტის პროფესიონალია. 21-ე საუკუნეში შეიცვალა შრომითი ბაზრის მოთხოვნები, ახლა სულ სხვა დონის და განათლების კადრებია საჭირო, რომლითაც ვერ ვაკმაყოფილებთ მოთხოვნას. ზემოთ ჩამოთვლილი პროფესიის ადამიანებს ანაზღაურებაც მეტი აქვთ. აქედან გამომდინარე, ყველა უნდა იყოს ორიენტირებული საკუთარი თავის განვითარებაზე, კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ასე შემდეგ. თავისთავად, დამსაქმებელიც უნდა იყოს ორიენტირებული, მისცეს თანამშრომელს ამ კვალიფიკაციის ამაღლების შანსი და შეუქმნას სათანადო პირობები.

- როგორ პირობებს გულისხმობთ?

- უნდა დაუტოვოს ადამიანს თავისუფალი დრო, რათა მან შეძლოს სწავლა მუშაობის პარალელურად. ხშირად გვხვდება რამდენიმე სამუშაოზე დასაქმებული, მათ შორის, ჯანდაცვის, განათლების სფეროებში და სხვა. რადგან არსებული ხელფასები არ ჰყოფნით და იძულებული ხდებიან, ორ-სამ ადგილას იმუშაონ, ანუ თვითგანვითარებისთვის აუცილებელი დრო უნდა ჰქონდეს ადამიანს. გარდა ამისა, ხელფასის 20 პროცენტი მაინც უნდა რჩებოდეს თავისუფალი თვითგანვითარებისთვის. დღეს ჩვენი შრომის ბაზარი ამ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და ამიტომ ვთვლი, რომ კოორდინირებული მუშაობაა საჭირო როგორც სამუშაოს მაძიებელთან, ასევე დამსაქმებელთან. უნდა დაისახოს ერთიანი სქემა, რათა გავუმკლავდეთ შრომის ბაზარზე არსებულ გამოწვევებს.

- როგორც ვიცი, თქვენს სააგენტოს აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვადასხვა პროგრამა სამუშაოს მაძიებელთათვის. რომელს გამოარჩევთ?

- დიახ, ეს პროგრამები, ძირითადად, ორმხრივია და ჩვენი ძალებით ვცდილობთ, რომ, ერთი მხრივ, შრომის ბაზარზე გაჩნდეს მოთხოვნადი პროფესიების მქონე კადრები და, მეორე მხრივ, ეს ადამიანები ფოკუსირებული იყვნენ საერთაშორისო გამოცდილებაზე, მათ შორის, სტუმარმასპინძლობის სფეროში.

- შრომითი მიგრაცია სულ უფრო იზრდება. რა კეთდება ამ მიმართულებით?

- ამ მიმართულებით ძლიერი პროგრამა შევიმუშავეთ და განვახორციელეთ - მოიცავს საკრუიზო ლაინერებისთვის კადრების მომზადებას და მათთვის სამუშაო ადგილების მოძებნას. მინდა აღვნიშნო, რომ ორიოდ დღის წინ დასრულდა ტენდერი, გვყავს გამარჯვებულები. ისინი სექტემბრიდან დაიწყებენ სწავლას, შემდეგ კი დასაქმდებიან ლაინერებზე და მაღალი ანაზღაურება ექნებათ. უკვე გვყავს იქ დასაქმებულები, ბათუმში კი მზადდება კადრები სატვირთო გემებისთვის, მაგრამ საკრუიზოსთვის - არა. აქედან გამომდინარე, პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით, შევიმუშავეთ ეს სასწავლო მოდული, რომელმაც გაამართლა. ახლა უკვე გვაქვს გარკვეული გამოცდილება და ვაძლევთ საშუალებას ახალგაზრდებს, რომლებსაც აქვთ გარკვეული უნარ-ჩვევები და სტუმარმასპინძლობის სფეროში საქმიანობის გამოცდილება, გადაემზადონ უშუალოდ საკრუიზო გემებზე დასაქმებისთვის.

- ძირითადად, რა პროფესიებზე გაქვთ აქცენტი?

- საწყისი ეტაპისთვის მხოლოდ ორზე: მიმტანებსა და ბარმენებზე, მაგრამ სამომავლოდ ვაპირებთ კიდევ რამდენიმე პროფილის დამატებას. სხვათა შორის, ეს პროგრამა ბევრ პრობლემურ გამოწვევას პასუხობს, მათ შორის, ახალგაზრდებში შრომით მიგრაციას ამცირებს. მათ აღარ უღირთ მაღალი ანაზღაურებისთვის სხვა ქვეყნებში გამგზავრება, რადგან აქ იგივე ხელფასები აქვთ. ამას ემატება გემზე გავლილი სასწავლო კურსი და იქ მიღებული საერთაშორისო გამოცდილება, რომელსაც ჩვენს პროგრამაში ჩართულ ახალბედებს უზიარებენ.

- საშუალო ხელფასი რამდენია?

- იწყება 1200 დოლარიდან და 2800 დოლარამდე ადის. გაჩნია, რა პოზიციას იკავებს ადამიანი და რომელ საფეხურზე ადის.

- ფაქტია, რომ მსურველთა რაოდენობა დიდი იქნება, ადგილები - ნაკლები...

- დიახ, ჯერ არ არის დასრულებული რეგისტრაცია და უკვე 135-ზე მეტი მსურველია... 30-მდე ადგილზე. იმედი გვაქვს, მომავალში უფრო მეტს დავასაქმებთ. აქვე მინდა დასკვნის სახით განვაცხადო: ზემოთ წამოჭრილი პრობლემების (მოთხოვნა-მიწოდება-ანაზღაურება) გადაჭრა შესაძლებელია, თუ გავითვალისწინებთ შრომის ბაზარზე არსებული ყველა აქტორის მოთხოვნებს. ამისთვის აუცილებელია მათთან კომუნიკაცია, რომლის დროსაც ამ გამოწვევებზე ღიად ვისაუბრებთ და ერთობლივი, კოორდინირებული მუშაობით გავუმკლავდებით არსებულ პრობლემებს. სხვათა შორის, ისიც არ დაგავიწყდეთ, რომ ეს არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა, სამუშაო ძალის დეფიციტი განვითარებულ ქვეყნებშიც არსებობს. კერძოდ, გაედინება კადრები იქ, სადაც მეტია ანაზღაურება. თუნდაც თურქეთი, იტალია, პოლონეთი ან საბერძნეთი ავიღოთ. ამ ქვეყნებიდან შრომითი მიგრაციის ტალღა გადადის გერმანიასა ან ამერიკაში. მოკლედ რომ ვთქვათ, დღესდღეობით ჩვენთან აშკარად ჩანს პოზიტიური ძვრები, იზრდება ანაზღაურება, ჩნდება ახალ-ახალი სამუშაო ადგილები. იმედი გვაქვს, სამომავლოდ ხელფასი ყველას დააკმაყოფილებს და სხვა ქვეყნებში შრომითი მიგრაცია შეწყდება.

„გავანახევრეთ უმუშევრობა და სამჯერ შევამცირეთ სიღარიბე“

პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი საქართველოში უმუშევრობის დონის და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის შემცირებას ეხმიანება.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარე აღნიშნავს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, უმუშევრობის მაჩვენებელი განახევრებულია და სამჯერ შემცირებულია სიღარიბე.

მისი თქმით, ეკონომიკური ზრდის ტემპით საქართველო ლიდერია არა მხოლოდ რეგიონში, არამედ ევროპის მასშტაბით.

„ეს მაჩვენებლები კარგად წარმოაჩენს იმ ძირითად მიზეზს, რატომაც ბოლო 12 წლის ყველა ადგილობრივ თუ ეროვნულ არჩევნებში მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა მხარი „ქართულ ოცნებას“ დაუჭირა და ოქტომბრის არჩევნებზეც კვლავ ჩვენ გვიჭერს მხარს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, ჩვენ გავანახევრეთ უმუშევრობა და სამჯერ შევამცირეთ სიღარიბე. ეკონომიკური ზრდის ტემპით ვართ ლიდერები არა მხოლოდ რეგიონში, არამედ ევროპის მასშტაბით.

დემოკრატიული მმართველობის მიმართულებით შთამბეჭდავ შედეგებთან ერთად, გამაყობთ აღნიშნული ეკონომიკური მიღწევებით, რაც არის ჩვენი საზოგადოების მშვიდობიანი განვითარების და საქართველოს აღმშენებლობის მთავარი წინაპირობა", - აღნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე.

„ყველას თანადგომით, მინდობილ საქმეს თავს ვართმევ“

„დედეშვილებელი მამულაძეები მესხეთიდან გადმოსული ვინმე „დედეს“ (ბაბუის) შთამომავლები არიან“, - წერს პუბლიცისტი ოთარ ქამადაძე წიგნში „ნენია“. მამულაძეები სიტყვისა და საქმის ერთგულები არიან, მამულისა და ერის სიყვარულში ტოლს არავის უდებენ. 10 წლის განმავლობაში უხელმძღვანელო ამ სოფელს, დიდი პასუხისმგებლობა და პატივია. სწორედ ამ საქმეს ღირსეულად უძღვება ბენაძი მამულაძე, რომელსაც ამ დღეებში დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდება

- 18 წლიდან მოყოლებული, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ვარ ჩართული. ჩემთვის დიდი და პატარა საქმე და თანამდებობა არ არსებობს. სოფლის ავტობუსის მძღოლი ვიყავი და მომდურავ-მომჩივანი არ მყოლია. 5 წლის განმავლობაში ბათუმიდან აჭარის მთიანეთის რაიონებში ფოსტას დავატარებდი და შენიშვნა არ მომიღია. სოფლის ხელმძღვანელად რომ დავინიშნე, ვიცოდი, რა პასუხისმგებლობის წინაშე ვდგებოდი. არ მინდოდა თანასოფლელთა წინაშე ის ავტორიტეტი შემელახა, რომელსაც 45 წლის განმავლობაში ვიხვეჭდი. მეზობლებისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის, ყველას თანადგომით, მინდობილ საქმეს თავს ვართმევ. ღირსეული წინამორბედები მყავდა და ვცდილობ, ალექსანდრე, ავთანდილ, დიმიტრი, სანდრო მიქელაძეების, შოთა, ვლადიმერ, ბადრი მამულაძეების, ნოდარ, ალი, შოთა, ლევან, ოთარ ქამადაძეების დიდი ისტორიის მქონე სოფელს ხელი არ დავაკლო.



- გაკეთებულ-გასაკეთებელ საქმეებზე რას გვეტყვით?

- ნენიაში მოყვანილ ხილსა და ტექნიკურ კულტურებს ბადალი არ აქვს. აქაური ცოლიკაურის ღვინო აღიარებულია. ამ ჯიშის ყურძნის ზვრებს 3 ჰექტარზე მეტი უკავია. ჯავახეთისა და თრიალეთის ზეგნებზე არსებულ სოფლებში კურკოვან და თესლოვან ხილს მეცხოველეობის პროდუქტებზე გადასაცვლელად რომ ჩაიტანენ, უმალვე კითხულობენ, ნენიისა ხომ არისო. ნენიის მოსახლეობა სასმელი და სარწყავი წყლის დეფიციტს განიცდიდა. წინა საუკუნის 80-იან წლებში მდინარე აჭარისწყალზე საქაჩი სისტემა გაკეთდა, მაგრამ კომუნისტური რეჟიმის დაშლისთანავე ისე დაიშალა, რომ ერთი დღეც არ უმუშავია. ქვეყნის ბიუჯეტს 5 მილიონ ლარზე მეტი დაუჯდა სოფელ რაქვთიდან 29-კილომეტრიანი წყალსადენის გამოყვანა, რაც ჩვენი სოფლის ხელმძღვანელად მუშაობის წლებში გაკეთდა. ახლა სოფელში 156 კაპიტალური სახლია. ზაფხულობით ყველას კარი იღება. სოფელი ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალიდან იწყება, რომელზეც უკვე დასრულდა ხიჭაური-ნენიის ხიდის 9-კილომეტრიანი მონაკვეთის რეკონსტრუქცია და ასფალტის დაგება. სოფელშიც ასფალტის გზა შემოვიყვანეთ. ახლა 1,5 საათი კმარა ნენიიდან ბათუმში ჩასასვლელად, თანაც - ყველანაირი ტრანსპორტით. უხვთოვლიან ზამთარშიც კი სოფელში შემოსასვლელი გზა აღარ იკეტება.

- გზა და წყალი სოფლის მასულდგმულებელია, მაგრამ თანამედროვე ცხოვრება მეტს ითხოვს...

- გეთანხმებით და ჩამოთვლას დავიწყებ: გვაქვს თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სკოლის შენობა, რომლის სრული რეაბილიტაცია ბოლო წლებში დასრულდა. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით სპორტული მოედანი გაკეთდა. სოფელში რამდენიმე წელია, ალტერნატიული ბაგა-ბაღი მოქმედებს. სათანადო პატივს მივაგებთ ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ვაჟკაცებს. წამოვიწყეთ სახელოვანი ადამიანების, განსაკუთრებით, ქალბატონების დაბადებიდან მრგვალი თარიღების აღნიშვნა. ასეთები კი ფატი სურმანიძე-ქამადაძის, ესმა, ლუთბიე მიქელაძეების, ნუნუ მამულაძის, ზინა მიქელაძისა და სხვათა სახით მრავლად გვყავს.

- თქვენ თუ აპირებთ 60 წლისთავის იუბილეს გადახდას?

- ოჯახში სამი დედმამიშვილი გავიზარდეთ. ბუთურაულელ ვარდო მელაძესთან ერთად, 4 შვილს ვზრდი. ნათესავების, ახლო მეგობრების შეკრებას ვაპირებ... ჩემი სახლი და ეზო ყველა კეთილისმსურველს დაიტევს.

- ამ გადასახედიდან რა გრჩებათ ტკბილ მოგონებად?

- ქორწინებისა და შვილების დაბადების თარიღები. ძნელბედობის წლები გამოვიარე, იყო შემთხვევაც, სიკვდილს თვალებში ჩავხედე. არ მინდა, შვილებმა, შვილიშვილებმა ისეთი დრო გამოიაროს, რაც ჩემი თაობის ქართველებმა გამოვიარეთ. 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ბუთურაულელი იაგო მიქელაძე ჩემი მეგობარი იყო. ის და მისი მსგავსი ახალგაზრდები ერთეულების ახირების მსხვერპლნი გახდნენ. ყველას ვალია მშვიდობის შენარჩუნება. უფალმა მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი მამული გვიბოძა, რომელსაც უნდა ვუფრთხილდებოდეთ.

- დაბადების დღეზე ყველაზე მეტად ვისი მოლოცვა გაგახარებთ?

- ადამიანისა, რომელიც ჩემი ცხოვრების მეგზური და მესაიდუმლეა.

საუკუნის ტოლ ქალბატონს 136 შთამომავალი ეფერება

ქვეყანა მეორე მსოფლიო ომის ჭრილობებს იშუშებდა, წყაროთელმა ზერიფე ზოიძემ და ჩანჩხალოელმა ნევრიზ მიქელაძემ ოჯახი რომ შექმნეს. ომის დროს განცდილი ტკივილები და გაჭირვება უკან რჩებოდა, მის ადგილს ახალი ცხოვრება იჭერდა, რომელიც არცთუ ისე დალხინებული აღმოჩნდა - პირველი შვილი ორი წლის ასაკში გარდაეცვალათ ახალბედა მშობლებს. 75 წლის გადასახედიდანაც კი ტკივილს იწვევს ამაზე საუბარი

ზერიფემ პირმშო მიწას რომ მიაბარა, დღეს უკვე 72 წელს გადაცილებულ შალვაზე იყო ორსულად. შალვადან მოყოლებული კიდევ 11 შვილი გააჩინა. 5 ვაჟისა და 7 ქალიშვილის დაქორწინება-დასახლკარებასაც მოესწრო.

- ამბობენ, ბევრი შვილის პატრონსაო ღმერთი ულეწს კალოსაო. ასეც არის, - ამბობს ზერიფე, - შალვასა და ნაბოლარას შორის ასაკობრივი სხვაობა 21 წელია. ამ ასაკში ასე მხნედ რომ გამოვიყურები, შვილების სიმრავლეს ვუმადლი. უფალი გზას მინათებდა, სიმხნევესა და გამბედაობას მმატებდა. ბავშვებიც ერთმანეთს ზრდიდნენ. ის სიყვარული, ერთმანეთის პატივისცემა დღემდე მოჰყვებათ. თბილისიდან დაწყებული და ჩანჩხალოთი დამთავრებული, ყველგან სანათესაო, მოყვრები მყავს. მეც და ნევრიზსაც შალვა ჩაქვში გადასავლელად არ გვემეტებოდა, მაგრამ ახლა კმაყოფილი ვართ. ორივესთვის დიდი სიხარული იყო მასთან სტუმრობა. ნევრიზი 87 წლის ასაკში წავიდა წუთისოფლიდან...

ქალბატონ ზერიფეს 100 წლის იუბილე, 10 შვილთან და მათ შთამომავლებთან ერთად (ორი შვილი ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოვიდა), საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარმა დეპუტატებმა ანზორ ბოლქვაძემ, ფრიდონ ფუტკარაძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე ზაზა დავითაძემ მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს.

- უფალს მადლობა, რომ საკუთარ თავს ვუვლი, - გვითხრა დამშვიდობებისას იუბილარმა, - მეხსიერება არ მღალატობს, თვალისჩინსაც არ ვემდური, ცოტა სმენამ მიღალატა, მრავალი განსაცდელის ფონზე, კარგად ვარ. უფალს ვევედრები, ჩემი 136 შთამომავალი მიცოცხლოს, მშვიდობა და კეთილდღეობა იყოს მათი მეგზური. მეხსიერებიდან არ ამოდის მეორე მსოფლიო ომის, წინა საუკუნის 90-იანი წლები. სოფელს შემოვივლიდი, ფხალის გასაკეთებლად სიმინდის ფქვილი რომ მენახა. ახლა მას ნაკლებად ვეტანებით და ხორბლის ფქვილით ვიკვებებით. სხვების მსგავსად, ჩემი შთამომავლებიც ტოვებენ სოფელს. არც მიკვირს: ადამიანმა, სადაც სულს მოითქვამს, იქ უნდა იცხოვროს. მადლობა ნაბოლარა ვაჟსა და რძალს, რომ მარტოს არ მტოვებენ, ნევრიზისა და ჩემს ნაამაგარს არ ავერანებენ. მინდა კიდევ ვიყო წუთისოფელში და იმ სიკეთეებით ვიხარო, რასაც საზოგადოება მთავაზობს.

გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ

„გვაქვს ამბიცია, ჩვენ მიერ შექმნილმა ფესტივალმა ადამიანებში დადებითი ცვლილებები მოახდინოს“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“ 19-დან 21 სექტემბრის ჩათვლით, მაღალმთიან აჭარაში მე-12-ედ ელოდება მათ, ვისაც უყვარს ლიტერატურა, ვისთვისაც ნამდვილი, უშუალო ურთიერთობები წყალივით აუცილებელია არსებობისთვის. გვესაუბრება ფესტივალის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი **ვახტანგ ბერიძე**.*

- განვითარების რა ეტაპები გაიარა საერთაშორისო ლიტერატურულმა ფესტივალმა „ზე-კართან“ და რომელი მიღწევა გეამაყებათ ყველაზე მეტად?

- ალბათ, ათობით ფიქრი თუ იდეა მოგვდის დღის განმავლობაში გულსა და გონებაში, მაგრამ მათგან უმრავლესობა, სხეულის ჯებირებთან შეჯახებისას, ან ქრება ან ისევ უკან ბრუნდება ჩვენს ქვეცნობიერში. იდეასაც შესაბამისი დრო, გარემო და ბედისწერა გვკარნახობს. ფესტივალი „ზე-კართან“ თანამედროვე ქართული კულტურის ნაწილი გახდა, რომელსაც საქართველოში იცნობენ, პატივს სცემენ და უხარიათ მასში მონაწილეობა. ჩვენ საკმაოდ რთული და საინტერესო გზა გავიარეთ, გადავლახეთ ბევრი ბარიერი, მოვითმინეთ გულისტკივილი, იმედგაცრუება და ყოველივე ეს ვაქციეთ ჩვენს ძლიერ მხარედ. თორმეტი წელია ვმოგზაურობთ ზეიმის, სიხარულის, შთაგონებისა და სიყვარულის სამყაროში, სადაც უხილავ და ხილულ თოკებს ვაბამთ ერთმანეთთან, სულიერად ვასაზრდოებთ მთაში მცხოვრებ ლიტერატურის მოყვარულ საზოგადოებას და ფესტივალიდან ფესტივალამდე საგზლად ვატანთ შთამბეჭდავ ემოციებს.

- როგორ ფიქრობთ, რა ხდის „ზე-კართან“ განსხვავებულსა და განსაკუთრებულს და რა არის ფესტივალის მთავარი ხელწერა, რითაც წლების შემდგომ გაიხსენებენ?

- თავისუფლება, მეამბოხე სული, მრავალფეროვნება, კომპლექსების დაძლევა, სხვადასხვა კულტურის შეხვედრა, სხვადასხვა აზრისა და საფიქრალის ერთ სივრცეში თანაცხოვრება, კრიტიკული აზროვნება, მიმღებლობა - აი, ეს არის ფესტივალის ძლიერი მხარე. არავინ ფიქრობს ხშირად იმაზე, რამდენი სისხლი გაატარა გულმა, მაგრამ ძალიან ხშირად ვფიქრობთ იმაზე, რას ვქმნით, რითი ვინარჩუნებთ იმ განსაკუთრებულ ფასეულობას, რასაც ინდივიდუალიზმი ჰქვია. ჩვენ არსებობისთვის გვჭირდება საკვები, წყალი, მშვენიერება და სულიერი საზრდო ანუ კულტურა. კულტურას და ხელოვნებას ადამიანის შინაგან და გარეგან განვითარებაზე უდიდესი ცვლილებების მოხდენა შეუძლია. სიტყვა „ცვლილებები“ აქ შემთხვევით არ გამომიყენებია, გვაქვს ამბიცია, რომ ჩვენ მიერ შექმნილმა ფესტივალმა ადამიანებში დადებითი ცვლილებები მოახდინოს. კითხვის ბოლო ნაწილს რომ მივუბრუნდე, ფესტივალის ხელწერაა ინდივიდუალიზმისა და თავისუფლების მეშვეობით, ქართული კულტურის, ფასეულობების ერთგულება.

- ფესტივალს წლიდან წლამდე ელოდებიან ლიტერატურის მოყვარულები. გაგვაცანით წლევანდელი პროგრამა, მონაწილეები და თემები, რომლებზეც ფესტივალის ფარგლებში იმსჯელებთ...

- საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“ თითქმის ყოველ წელს განსაზღვრავს თემას, რომლის ირგვლივაც იგება მისი დრამატურგია, გეგმა, თემები. წლევანდელი თემაა მრავალფეროვნება. ალბათ, ყველანი ვთანხმდებით, რომ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება სხვადასხვა კულტურათა, რელიგიათა თანაცხოვრებისა, არის ის ძლიერი მხარე, რომელიც ნამდვილად უნდა გვეამაყებოდეს. გლობალიზაციის დროს ჩვენი ნიშაც მრავალფეროვნებით და მრავალხმიანობით უნდა დავიკავოთ. წლევანდელი საფესტივალო ღონისძიებებიც მრავალფეროვანი და საინტერესო იქნება. იგი, ტრადიციულად, სამი დღე გაგრძელდება და მთიანი აჭარის სამივე მუნიციპალიტეტს მოიცავს, კონკრეტულად კი საფესტივალო ღონისძიებები გაიმართება დაბა შუახევში, საფუტკრეთში, გეგელიძეებში და დაბა ხულოში. ფესტივალის ფარგლებში ჩატარდება: ექვსი საჯარო ლექცია, ხუთი პოეზიის საღამო, ექვსი ფოლკლორული კონცერტი, ორი რეწვის ნიმუშების გამოფენა, ორი ფილმის ჩვენება, ერთი ქართული და უცხოური კლასიკური სიმღერის კონცერტი და ერთი აჭარული ნაქარგების გამოფენა. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს 30 მწერალი, 5 სპიკერი, ბათუმის ქალთა კამერული გუნდი, შუახევის და ხულოს კულტურის ცენტრების ფოლკლორული ანსამბლები და რეწვის ოსტატები. ნაჩვენები იქნება ზაზა ხალვაშის მხატვრული ფილმი „ლოტო“ და ანნა ძიაპშიას ფილმი „ავტოპორტრეტი ზღვარზე“.

- თქვენ მოახერხეთ და ის მწერლები, პოეტები, რომლებსაც შესაძლოა, მხოლოდ წიგნებიდან თუ სოციალური ქსელიდან იცნობდნენ მაღალმთიან აჭარაში, ახლოდან გააცანით მოსახლეობას, მიეცით შესაძლებლობა, კითხვები დაესვათ მათთვის საყვარელი ავტორებისთვის. რა განცდაა, როცა ხდები ერთგვარი ხიდი ამ ადამიანებს შორის?

- თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი და სასიხარულოა ის, რომ ადგილობრივებს, რომლებიც ბევრ მწერალსა თუ პოეტს წიგნიდან ან ეკრანიდან იცნობდნენ, თავის სოფელში ჩაუყვანო ავტორები, მისცე შესაძლებლობა, უშუალოდ ესაუბრონ მათ ლიტერატურაზე. ორმაგად სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ ხშირად, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები მწერლები, ზოგჯერ ერთი ქალაქის მკვიდრნიც კი, პირველად ჩვენთან ხვდებიან ერთმანეთს. გადატანითი და პირდაპირი გაგებით, სასიამოვნო ტვირთია, იყო ხიდი და დამაკავშირებელი ორ უცნობ სამყაროს შორის და როგორც ზაზა ურუშაძე იტყოდა, „თითოეული ადამიანი ხომ ერთი სამყაროა“. ვინც უნდა იყო და რა სიმაღლეებსაც მიაღწიო, უნდა გახსოვდეს, რომ ღმერთს ადამიანისთვის სიყვარულზე დიდი ჯილდო არ დაუწესებია, ამიტომ, მადლიერი ვარ მიღებული და გაცემული სიყვარულით.

- კომპლიმენტი „ზე-კართან“ დაკავშირებით, რომელიც არასოდეს დაგავიწყდებათ...

- ბევრია ასეთი. ფესტივალის პირველივე ღონისძიებიდან დღემდე უამრავი კომპლიმენტი და დადებითი ემოცია მიმიღია, რაც ბუნებრივია, მიხარია და მომწონს. თუმცა, საკუთარ თავს ვეუბნები, კარგია ეს ყველაფერი, მოისმინე, დატკბი, მაგრამ არ მოდუნდე, იმოძრავე და განვითარდი. მართლაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს გონიერ, გააზრებულ და სტრატეგიულ მოძრაობას შემოქმედებითი ინდუსტრიების, საფესტივალო და სხვადასხვა ტიპის ღონისძიების განვითარებისათვის.

- ლიტერატურის როლი, ადამიანების გამოფხიზლება, აწმყოს გააზრება და მომავლის უკეთ განჭვრეტაში სწორი ფიქრისა და შეხედულებების შემოშველებაა. თქვენ, როგორც რეჟისორი, დრამატურგი, ლიტერატურული ფესტივალის ხელმძღვანელი, როგორ ფიქრობთ, დღეს ლიტერატურამ დაკარგა ერთგვარი სადავეები თუ ისევ ჩვეულ რელსებზე დგას?

- ჩვენ საინტერესო დროში ვცხოვრობთ, ახალი საუკუნე დადგა, ახლებური საფიქრალი გაჩნდა, ახალ ამბებს ენიჭება აქტუალობა. ახლა, მენტალურად, ძველის და ახლის გზაგასაყარზე ვართ, ამიტომ, მწერალი იქნება თუ ნებისმიერი შემოქმედი, უნდა მოისმინოს, რაზე საუბრობენ ახლები, ანუ რა სჭირდება ახალ სამყაროს, რომელშიც ჩვენ ნელა-ნელა შევდივართ. ადამიანი, შემოქმედი მაშინ კარგავს აქტუალობას, როცა ის უინტერესო ხდება. შეიძლება მწარე ნათქვამია, მაგრამ დასაფიქრებელი. დღეს, ჩვენს დროებაში, სხვა საზოგადოება იბადება, ისინი არც მწერალზე, არც მხატვარზე, არც მუსიკოსზე და არავისზე ასე ცალკე და ავტორიტეტულად, აღარ იქნებიან დამოკიდებული.

- „ზე -კართან“ არის...

- გამოხატვის თავისუფლება, სიყვარული, კავშირი, სულიერება, მოძრაობა, შემეცნება და განვითარება. ჩვენი გზა ზენაარამდეა...

- ფესტივალის სამომავლო პერსპექტივა...

- აუცილებლად მინდა აღვნიშნო საფესტივალო კულტურის განვითარების დინამიკა ჩვენს რეგიონში, რაც კულტურის კარგი პოლიტიკის მაჩვენებელია. ის მრავალფეროვნება, დარგობრივი თუ შინაარსობრივი, უდავოდ კარგ შედეგს მოიტანს რეგიონის კულტურულ-ეკონომიკური განვითარებისთვის. აქვე მინდა მადლიერება გამოვხატო აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიმართ, რომლის ფინანსური მხარდაჭერით, წლებია, ვახარებთ ლიტერატურის მოყვარულებს. რაც შეეხება კონკრეტულად ჩვენს ფესტივალს და მის სამომავლო პერსპექტივას, მგონია, რომ მან ახლა, მეორე ათწლეულის ათვლის შემდეგ, დაიწყო სრულფასოვნებისკენ მოძრაობა. ჯერ კიდევ დიდი რესურსი არსებობს, რომ მნიშვნელოვანი სიახლეები შესთავაზოს იმათ, ვისაც ხელოვნება და ლიტერ-ატურა უყვარს. როგორც კი ფესტივალი, ფორმითა თუ შინაარსის თვალსაზრისით, გახდება უინტერესო, მე, როგორც იდეის ავტორი და ხელმძღვანელი, მოვხსნი რეპერტუარიდან ისევე, როგორც ხსნიან გენიალურ სპექტაკლებს წლების შემდეგ. ჯერ ვმოძრაობთ, ვიზრდებით და ვვითარდებით!

ბათუმი, ლამაზი მოგონებების ქალაქი

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„ჰიტერატურა“ - ამ ქართული მრავალჟანრობრივი მუსიკალური ფესტივალის ფარგლებში, ბათუმის საზაფხულო თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე, 18-19 აგვისტოს, ქართული სცენის ვარსკვლავებისა და საზოგადოებისათვის საყვარელი მომღერლების შესრულებით, ახალგაზრდა კომპოზიტორთა საავტორო სიმღერების კონცერტი გაიმართა. ფესტივალის ფარგლებში ასევე ჩატარდა შემეცნებითი მასტერკლასები.

- ბათუმი ყოველდღე სხვადასხვა კულტურული ღონისძიებით გვანებივრებს. ოჯახთან ერთად ვსეირნობდი ბულვარში და შემთხვევით მოვხვდი კონცერტზე, სადაც დათო ევგენიძე, ჩემი საყვარელი მუსიკოსი უკრავდა.

სიურპრიზების, სიყვარულის ქალაქია ბათუმი და როგორც სიმღერაშია, „თუ შეიყვარე გულსაც გაატან და თუ დასჭირდა თავს გაიმეტებ“. იმდენი ლამაზი მოგონება დავაგროვე ამ ქალაქში ყოფნისას, ვფიქრობ, მთელი წელი მეყოფა საგზლად - გვითხრა სტუმარმა დედაქალაქიდან ლაშა ჯიბლაძემ.

დიდი სიყვარულით მოეფერა დავით ევგენიძე კონცერტზე შეკრებილ ადამიანებს და თქვა, რომ მისთვის ბათუმი ყველაფერ ლამაზთან და შთამბეჭდავთან ასოცირდება.

ფესტივალი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, ფესტივალების საგრანტო კონკურსის ფარგლებში განხორციელდა.

„ჰოდა, ერთად დავიბადეთ მე და ჩემი სიმღერა“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ამბობს, რომ სიმღერასთან ერთად დაიბადა, სიმღერაა მისი სულის სევდაც და სიხარულიც. თავის შემოქმედებით საღამოსაც შესაბამისი სათაური მოუფიქრა - „ჰოდა, ერთად დავიბადეთ მე და ჩემი სიმღერა“

ბათუმის მუსიკალურ ცენტრში, საკუთარ დაბადების დღეზე, გურანდა დოლიძემ ბათუმელებისთვის კონცერტი გამართა. საღამო სავსე იყო გულწრფელი ემოციით, ზღვა სიყვარულით, ყვავილებითა და მასპინძლის ცრემლებით, რომელიც დამსწრე საზოგადოების მიერ ნაჩუქარ ოვაციებს მოჰყვა. აღნიშნა, რომ არასოდეს უვლია მუსიკის პედაგოგთან, მღერის იმას, რაც ემღერება და ცდილობს, სიმღერით თქვას თავისი სათქმელი, გამოხატოს თავისი დამოკიდებულება სიცოცხლის, სიყვარულისა და ადამიანების მიმართ. „ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო ის სიყვარულია, რომელსაც აქ, სცენაზე დგომისას ვგრძნობ თქვენგან და ახლა ისე ვღელავ, ჩემი გულის ძგერა მესმის“, - მიმართა მსმენელს გურანდა დოლიძემ და მადლობა გადაუხადა თითოეულ ადამიანს, ვინც თუნდაც მცირედი წვლილი შეიტანა მისი საიუბილეო შემოქმედებითი კონცერტის ჩატარებაში.

- გურანდა ბავშვობიდან მღერის. 90-იან წლებში თავისი გიტარითა და სიმღერით გვილამაზებდა ცივ და უშუქო საღამოებს. უყვარს ადამიანები და მათ დახმარებას თავისი ცხოვრების მთავარ დანიშნულებად მიიჩნევს. შშმ პირებთან ურთიერთობა და მათი პრობლემების მოგვარება, ჩართვა სხვადასხვა აქტივობაში გურანდასთვის პრიორიტეტულია. არის ძალიან კეთილი ადამიანი. ჩემი უმცროსი დაა, თუმცა მისგან ბევრ რამეს ვსწავლობ. გულმოდგინედ ემზადებოდა კონცერტისთვის, თავად შეარჩია რეპერტუარი, აკომპანიმენტს უწევდა არაჩვეულებრივი ბენდი, რამაც გაუადვილა მუშაობა. 30 წლის წინ იგივე სიმღერებს სულ სხვანაირად ასრულებდა. დრომ, გამოცდილებამ შესრულების მანერაც შეუცვალა. ადრე უბრალოდ მღეროდა, ახლა კი სიმღერებს გვიყვება, რაც მსმენელს აახლოვებს მასთან, - გვითხრა გურანდა დოლიძის დამ, ჟურნალისტმა თამილა დოლიძემ.

გურანდა დოლიძეზე, მის შემოქმედებაზე ისაუბრა ჟურნალისტმა და იუბილარის მეგობარმა ხატია იაშვილმა.

- გურანდა არის ადამიანი, რომელმაც სულ უნდა იმღეროს. მისი ყოველი ბგერა გულიდანაა ამოსული. ეს დარბაზში მსხდომმა ადამიანებმა ცხადად შევიგრძენით. ვულოცავ მას 50 წლის იუბილეს და ვუსურვებ ყველა ჩანაფიქრის ასრულებას. სულ ემღერებოდეს. მადლობა მას ამ თბილი საღამოსთვის. ეს მარტო სოლო კონცერტი და საიუბილეო საღამო არ იყო, 17 აგვისტო იყო ერთმანეთის მოფერებისა და სიყვარულის დღეც, - აღნიშნა ხატია იაშვილმა.

კონცერტზე გურანდა დოლიძემ გია ყანჩელისა და ვაჟა აზარაშვილის შემოქმედება გააცოცხლა და აღნიშნა, რომ ამ კომპოზიტორების სიმღერები ყველაზე უკეთ გამოხატავს იმ ემოციებს, რომელიც ცხოვრების გზაზე მიუღია. მიაჩნია, რომ გულწრფელი სიყვარულია ის ერთადერთი ძალა, რომელიც ხშირად შეუძლებელს შეგაძლებინებს და არ მოგცემს საშუალებას, ფარ-ხმალი დაჰყარო.

- მინდოდა, 50 წლის რომ გავხდებოდი, კონცერტი ჩამეტარებინა და ასეც მოხდა. სავსე ვარ ემოციებით, ძალიან დიდი სითბო და სიყვარული მივიღე ადამიანებისგან და თუ მკითხავთ, რა არის ბედნიერება, გიპასუხებთ, რომ სწორედ ეს არის. მაყურებლისგან წამოსულმა დადებითმა ემოციამ შემაძლებინა, ბოლომდე დავხარჯულიყავი. ჩემი საყვარელი კომპოზიტორების სიმღერები შევასრულე საღამოზე, ასევე, მქონდა ორი ახალი სიმღერა. წლების წინ ვაჟა ტუღუშმა მაჩუქა ძალიან კარგი სიმღერა, თუმცა აქამდე არსად შემისრულებია, ალბათ, შინაგანად ამ დღისთვის ვინახავდი. გავაყღერე კომპოზიტორ თეა ჯინორიას ნაჩუქარი სიმღერაც. საღამო გამილამაზა და რამდენიმე სიმღერა შეასრულა ჩემმა შვილმა მერაბიკო დოლიძემ. მადლობა ჩემს არაჩვეულებრივ ბენდს, პროფესიონალ ბიჭებს, რომლებმაც შემიქმნეს შესანიშნავი განწყობა და ატმოსფერო. ყველა სათქმელი, რაც მქონდა, დღეს ამოვთქვი გულიდან. ჩემთვის ძვირფასი ადამიანებისგან უდიდესი ენერგია და სტიმული მივიღე, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო დიდი შემართებით ვაკეთო ის საქმე, რომელიც მიყვარს, - აღნიშნა გურანდა დოლიძემ.

კონცერტის პარალელურად, მუსიკალური ცენტრის ფოიეში ინკლუზიური „კრაფტ-კლუბისა“ და სახელოსნო „კონდოფილიას“ ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. შემოსული თანხა, როგორც გურანდა დოლიძემ აღნიშნა, ქველმოქმედებას მოხმარდება.

„მუსიკა ბათუმიდან“ ისევ აჟღერდა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ზაფხულის ყველაზე ცხელ დღეებში ჩვენს ქალაქში კიდევ ერთი საინტერესო ღონისძიება მიმდინარეობს - საავტორო მუსიკის რადიოფესტივალი „მუსიკა ბათუმიდან“. იგი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით წელს მეორედ იმართება. სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ ფესტივალს გვერდით უდგას კერძო სექტორის არაერთი წარმომადგენელი

რადიოფესტივალი ღია ცის ქვეშ ტარდება, ნაწარმოებები ცოცხლად სრულდება და აჭარის რადიოს მეშვეობით, პირდაპირ ეთერში გადაიცემა. მისი მოსმენა შესაძლებელია მთაშიც და ბარშიც. დღის განმავლობაში ორ-ორი მონაწილე გამოდის (ან ჯგუფი ან ინდივიდუალური შემსრულებელი).

როგორც ღონისძიების ორგანიზატორებმა, პროექტის ავტორებმა და წამყვანებმა თეონა ზედანიამ და ილია შავიშვილმა გვითხრეს, ფესტივალი საავტორო მუსიკის პოპულარიზაციას უწყობს ხელს და ამავდროულად, ავტორ-შემსრულებლების მხარდასაჭერად იმართება.

- ჩვენი ფესტივალი ერთგვარი ხიდი გახდა სახელმწიფოსა და მუსიკოსებს შორის. მისი მთავარი მისია იყო, ამა თუ იმ ავტორს დაეწერა ახალი მუსიკა, ახალი ნაწარმოებები და ასეც მოხდა - წელს შარშანდელზე მეტი არჩევანი გვქონდა. შარშან ძნელი იყო ისეთი საავტორო მუსიკის ავტორების პოვნა, 40-წუთიან გამოსვლას რომ დააკმაყოფილებდნენ. ჩვენ სწორედ ამდენ ხანს ვუთმობთ თითოეულ ჯგუფსა თუ ინდივიდუალურ შემსრულებელს. წელს ფესტივალის ხათრით და მოტივაციით, იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს ადგილი, სადაც ისინი დაუკრავენ საზოგადოებისთვის, გაჩნდა ახალი ალბომები. იმედი გვაქვს, მომავალში მონაწილეთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. ფესტივალი საერთაშორისო მასშტაბისაც გახდა, მასში შვედი ქართველი მომღერალი საბინა ჭანტურია ვამლინგი მონაწილეობს, - თქვა თეონა ზედანიამ.

ფესტივალი 17 აგვისტოს გაიხსნა და ხვალ დაიხურება. ყოველდღე, 19 საათსა და 30 წუთიდან, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის რადიოს შენობის წინ, სპეციალურად მოწყობილ სცენაზე გამოდიან ავტორ-შემსრულებლები.

ფესტივალი მომღერალმა საბინა ჭანტურია ვამლინგმა გახსნა. მისი შემოქმედება ბრიტანულ და ამერიკულ რადიოსადგურებში ყღერს, ამიერიდან კი აჭარის რადიოს ეთერითაც გახმოვანდება.

შვედეთში დაბადებული საბინა 12 წლის იყო, საქართველოში პირველად რომ ჩამოვიდა. მამა სოხუმიდანაა, დედა - შვედი. ამბობს, რომ ორი სამშობლო აქვს - საქართველო და შვედეთი. ბინა ბათუმშიც აქვთ. საქართველოში საკმაოდ ხშირად ჩამოდის. ბავშვობიდან მღერის. აქ ყოფნის დროს გაიგო ფესტივალის შესახებ და მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა.

- უკვე დიდი ხანია, მუსიკას ვწერ. რაც დღეს შევასრულე, ტექსტიც და მუსიკაც, ჩემია. ჩემი სიმღერები იუთუბზეც არის ატვირთული და რადიოარხებზეც გადაიცემა. მიხარია, რომ ახლა უკვე აჭარის რადიოშიც ყღერდება, - გვითხრა საბინამ, რომელმაც სასიამოვნო ხმითა და შესრულებით მოხიბლა მსმენელი.

მეორე ნაწილი ჯგუფ „ლუქაროის“ დაეთმო ლუკა სებისკვერაძის (გიტარა სინთეზატორი), ნიკა გოგიაშვილის (გიტარა), ნოე ჭელიძის (ბასგიტარა) და სანდრო ფოცხიშვილის (დრამი) შემადგენლობით.

- ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ილოსა და თეონას, განსაკუთრებით კი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, რომ ასეთ კარგ პროექტს უჭერს მხარს. შედეგიც არ აყოვნებს - მსმენელთა რიცხვი მატულობს და ისინი არა მხოლოდ ბათუმელები არიან. მიხარია, რომ ყველას მოსწონს ის, რასაც სთავაზობს მათ „მუსიკა ბათუმიდან“. ადგილიც კარგად არის შერჩეული - მემედ აბაშიძის ქუჩა ქალაქის გულია. ღონისძიების შინაარსიც ბათუმისთვის მომგებიანია. მუსიკა ყველას აერთიანებს და მით უმეტეს, როდესაც იგი კარგი და გემოვნებიანია, - გვითხრა მუსიკოსმა ნატალია ორაგველიძემ.

ეს ფესტივალი საავტორო მუსიკის დღესასწაულია. ცოცხალი შესრულება დაუვიწყარ ემოციებს გჩუქნით, ისმენთ ახალს, განსხვავებულს და ეს ემოცია დიდი ხნის განმავლობაში გაგყვებათ თან.

ფოტოგრაფი ვარ...

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში ფოტოგრაფად მუშაობს ზაალ შენგელია. ჩემი ჟურნალისტური საქმიანობიდან გამომდინარე, მას არაერთხელ შევხვედრივარ სხვადასხვა ღონისძიებაზე

ბატონი ზაალი ჩვეულ ფორმაშია, აუღელვებლად, მშვიდად აკეთებს საქმეს. რამდენიმე ხნის წინ მას საზოგადოება ვახტანგ ღლონტის სალონურ საღამოზე შეხვდა, სადაც უფრო ახლოს გაიცნეს როგორც თავად ზაალ შენგელია, ისე მისი შემოქმედებაც.

ბათუმში დაიბადა 1947 წლის 30 აპრილს. №15 საშუალო სკოლა დაამთავრა და ერთი წლის შემდეგ, როგორც ეს მაშინ ხდებოდა, სავალდებულო სამხედრო სამსახურში წავიდა. იქიდან დაბრუნებულმა ძალიან ცოტა ხანს იმუშავა ერთ ადგილზე და ორი თვის შემდეგ მისმა ბიძაშვილმა სოსო შენგელიამ, რომელსაც ლაბორატორია ჰქონდა ტექნიკის სახლში, თავისთან მიიყვანა. ამ ლაბორატორიაში ერთი „ოქროსხელება“ იაგო ახობაძე მუშაობდა, ადამიანი, რომელსაც (საერთოდ, მშენებელი ინჟინერი გახლდათ) არაერთი პროფესია ხელეწიფებოდა. მასთან დაიწყო მუშაობა და აქ სამი წელი შერჩა. „თუ რამე ხელობა, „ჩხირკედელაობა“ ვისწავლე, ეს მისი წყალობით“, - მითხრა. ეს ის პერიოდი იყო, როცა აპარატურა უცხოეთიდან შემოდიოდა და მისი შეკეთება ბევრმა არ იცოდა. თუ ვინმეს რამე გაუფუჭდებოდა, ყველაფერი შესაკეთებლად სწორედ იაგოსთან მიჰქონდათ. ამ ლაბორატორიაში ყოველთვის ხალხმრავლობა იყო (გვერდით არქიტექტორები მუშაობდნენ და ისინიც აქ იყრიდნენ თავს). იმდენად საინტერესო სიტუაცია იყო, რომ ზაალი დილიდან საღამომდე იქ რჩებოდა და სახლში გვიან მიდიოდა.

ამ ლაბორატორიაში, რა თქმა უნდა, ბევრი რამ ისწავლა თავად სოსოსთან, რომელმაც მისი მომავალი განსაზღვრა. სოსო შენგელია ცნობილი ფოტოხელოვანი გახლდათ, ბატონი ზალიკო კი თავს ფოტოგრაფს უწოდებს. ის ფოტოდოკუმენტალისტიცაა.

მერე ტექნიკის სახლში რაღაც არეულობა მოხდა, იაგო ახობაძე სამსახურიდან გაათავისუფლეს და წამოსვლა მასაც მოუწია.

იმხანად აჭარის ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმში ფოტოგრაფი არ ჰყავდათ. 1973 წელს სოსომ მიიყვანა ხარიტონ ახვლედიანთან - მუზეუმის დირექტორთან... მას შემდეგ აქაა. მუზეუმში სხვა სფეციფიკა დახვდა, თითოეულ ნივთზე ეგრეთ წოდებული პასპორტი კეთდებოდა. მისი მოვალეობა იყო, ექსპონატები გადაეღო, გაემუღავნებინა და დაებეჭდა. გარდა ამისა, ის მუზეუმში ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებას, შეხვედრას იღებდა. ამასთან, იღებდა ყველაფერ იმას, რაც თავად მოსწონდა, მომენტს ხელიდან არ უშვებდა. ბევრი საინტერესო და ცნობილი ადამიანის ფოტო აქვს გადაღებული, რომელიც დღეს ისტორიაა.

როგორც აღვნიშნეთ, მუზეუმში ფოტოგრაფობა რომ დაიწყო, ეს სოსო შენგელიას, დიდი ფოტოხელოვანის დამსახურება გახლდათ, ზაალმაც თავისი პეწი შემატა პროფესიას. მერე „აჭარფოტოში“ კურსები გაიარა და თანრიგი და ლიცენზიაც მისცეს. ამჟამად მუშაობს სამუზეუმო წიგნების, საბუთების გაციფრულებაზე, რომელიც ფონდში ბარდება. ეს სერიოზული სამუშაოა, რომლითაც აქ მოსულ მკვლევარსა თუ მეცნიერს მუშაობა უადვილდება, აღარ სჭირდება ფურცლების გადაშლა და ძებნა, ეკრანზე ამას სწრაფად აკეთებს. ფონდის გაციფრულებას საკმაოდ დიდი დრო მიაქვს, თუმცა ბატონი ზაალი ისევ იღებს ღონისძიებებს, შეხვედრებსა თუ ექსპედიციებს.

ამ ყველაფრის შესახებ ისაუბრა მან ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში, როცა ის სალონურ საღამოზე „სტუმრად ვახტანგ ღლონტთან“ მიიწვიეს. აღნიშნა, რომ ჰყავს არაერთი საინტერესო ადამიანი გადაღებული და თავადაც აქვს ფოტოები სხვადასხვა ცნობილ პიროვნებასთან.

პირველი მისი აპარატი „ზენიტი“ გახლდათ, მაშინ გადაღებამდე სხვა მუშაობა იყო ჩასატარებელი - უნდა გაგესწორებინა „ფოკუსი“, განათებას, მანძილს... დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მუზეუმმა ახალი ფოტოაპარატი „ქენონი“ შეუძინა. რა თქმა უნდა, ამით უფრო ადვილია მუშაობა, თუმცა ფოტოგრაფის „ხედვა“ ყოველთვის საჭიროა. ზაალ შენგელიას ეს „ხედვა“ ნამდვილად აქვს. გვითხრა, თავიდან რომ დამეწყო, ისევ ფოტოგრაფობას გავყვებოდიო... უყვარს ბატონ ზაალს თავისი საქმე, რომელსაც ნახევარ საუკუნეზე მეტია, გულიანად და დაუზარლად ემსახურება.

„შუამთობა“ – ზორტიყელში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

სახალხო დღესასწაული „შუამთობა“ კურორტ ბეშუმის მიმდებარე იაილებში დაიწყო და კურორტ ბახმაროს სიახლოვეს - მთა ზორტიყელში დასრულდა

- ამ მთაში სოფლების - ღორჯომის, ტუნაძეების, სტეფანაშვილების, გორგაძეების, მერჩხითის, ჭახაურის მეცხოველეები ატარებენ ზაფხულს. საუკუნეების წინ ჩვენმა წინაპრებმა ეს ტერიტორია გამოისყიდეს. მაშინ არც საავტომობილო გზა შემოდიოდა და იაილის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე საუბარიც ზედმეტი იყო. ახლა ღორჯომი-ბახმაროს 20-კილომეტრიან საავტომობილო გზაზე ბეტონის საფარი იგება. ბახმაროდან ლითონის ანძებით დენი გამოვიყვანეთ, შიდა ქსელი მოწესრიგდა. ზორტიყელს ორი მდინარე ჩამოუდის. შარშან ორი ხიდი გაკეთდა. სპორტული არენა, რომელიც ამ მთაში გვაქვს, უმშვენიერესია, - გვითხრა ღორჯომელმა თამაზ მესხიძემ და სტადიონზე შეგვიძღვა, სადაც წლევანდელი „შუამთობის“ დასკვნითი ღონისძიება იმართებოდა.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების მართვის დეპარტამენტის, ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა ყველაფერი გაეკეთეს დასკვნითი ზეიმის მაღალ დონეზე ჩასატარებლად. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძესთან ერთად, დღესასწაულს ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის, აჭარის მთავრობის, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები, ჩოხატაურისა და შუახევის მერები, აჭარის საქვეუწყებო დეპარტამენტების ხელმძღვანელები.

ღონისძიების წამყვანმა, პოეტმა ნანა შაინიძემ პირველი სცენაზე ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე მიიწვია, რომელმაც სახალხო დღესასწაულის მნიშვნელობასა და მასთან დაკავშირებულ პროცესებზე ისაუბრა.

„შუამთობის“ ზეიმის დღეებში თითქმის ყველა მთაში მივედით და შრომისმოყვარე ადამიანებს სახალხო დღესასწაული მივულოცეთ. მათ გასართობი, სპორტული და კულტურული ღონისძიებები შევთავაზეთ. დასკვნითი ღონისძიება მთა ზორტიყელში გვაქვს. წელს აქ მოვიწვიეთ „იუმორინას“ მსახიობები, სხვა ცნობილი მომღერლები, ადგილობრივი ანსამბლები, - აღნიშნა ხულოს მერმა.

მოზეიმეებს მიესალმა თორნიკე რიჟვაძე. მან „შუამთობა“ მთისთვის გამორჩეულ დღესასწაულად მიიჩნია, დამსწრეთ ზეიმი მიულოცა, ისაუბრა მთისა და ბარის ერთიანობაზე, ზეიმში მემთეურების, ახალგაზრდებისა და ბავშვების ჩართულობაზე, იმ ინფრა-

სტრუქტურულ ღონისძიებებზე, რაც რეგიონის მთასა და ბარში მიმდინარეობს და ადამიანების კეთილდღეობას, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებას, საქართველოს წინსვლასა და განვითარებას შეუწყობს ხელს.

„შუამთობის“ მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატები ანზორ ბოლქვაძე, ფრიდონ ფუტკარაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე.

მთაში ზეიმს ცეკვა, სიმღერა, იუმორი უხდება. ხალისიანი განწყობა შექმნეს ღორჯომის სასოფლო კულტურის სახლთან არსებულმა უხუცესთა და ახალგაზრდულმა ანსამბლებმა „ღორჯომი“ და „ფიქალა“, „იუმორინას“ მსახიობებმა ბესო ბერულაშვილმა, ხვიჩა მაღლაკელიძემ, ზურა კობეშავიძემ, ნინაკა გელაშვილმა, ვახტანგ ტატიშვილმა, მომღერალმა ნუგზარ ერგემლიძემ.

მოწყობილი იყო სავაჭრო სივრცეები, ადგილობრივ მეწარმეებს გამოფენილი ჰქონდათ საკუთარი ხელით დამზადებული ნივთები და აქსესუარები.

საღამოს საათებში კოცონის შუქზე მოზეიმეთა წინაშე ბენდი „ტრიო გოგლაურა“ და DJ ჩიკი წარსდგნენ.

- ჩოხატაური და ხულო მეზობელი მუნიციპალიტეტებია, - თქვა „აჭარასთან“ საუბარში ჩოხატაურის მერმა დავით შარაშიძემ, - სიამოვნებით მივიღე მოპატიჟება და მშვენიერი სანახაობის მოწმენიც გავხდით. ამ მთებს ადამიანები ალამაზებენ, საკუთარი მარჯვენით პროდუქციას ქმნიან. ორ რეგიონს მრავალი რამ გვაერთიანებს და გვაახლოებს. მსურს, ყველა მონაწილეს „შუამთობა“ მივულოცო და შემდგომი წარმატებები ვუსურვო.

არქიმანდრიტი ელიზბარი (ბაბუხადია) შემოქმედის მონასტრის წინამძღვარია. იგი ზორტიყელში გამართული მრავალი „შუამთობის“ მონაწილეა.

- მახარებს, რომ ყოველწლიურად სიახლეების მოწმე ვხდებით. გამიხარდა, ასეთი სტადიონი რომ ვნახე. ესაა ხალხზე ზრუნვის მაგალითი. ყველაზე მეტად ზეიმში გოგო-ბიჭების მონაწილეობა მხიბლავს. მომავალი მათია. მათ უნდა აიტაცონ წინაპრების დანატოვარი და გაამდიდრონ. ეს დღე ყველას ზეიმია. გილოცავთ! - გვითხრა მან.

- წლებია, ხულოელთა მაჟორიტარი, პარლამენტარის რანგში, ზორტიყელში მოვდივარ და ამომრჩევლებს, საპატიო სტუმრებს „შუამთობას“ ვულოცავ. 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომისა და შარშან რაჭაში დატრიალებული ტრაგედიის გამო ზეიმები არ გამართულა. პანდემიის წლებში ღორჯომელებს ტრადიციისთვის არ უღალატიათ, სანახაობითი ღონისძიებები გამართეს. წლევანდელი ზეიმის წინა დღეებში მმართველმა პარტიამ ოთხი მუნიციპალიტეტის დელეგატად დამასახელა. ღორჯომელები თბილად

მხვდებოდნენ, მომავალ არჩევნებში გამარჯვებას მისურვებდნენ. ის საქმეები, რომელიც მათ საკეთილდღეოდაა დაწყებული, კვლავაც გაგრძელდება. - გვითხრა ანზორ ბოლქვაძემ.

„შუათობა 2024“ აჭარის მთებს დაემშვიდობა. იგი ზორტიყელში გვიან საღამოს დასრულდა. კურორტ ბახმაროს მომიჯნავე მთაში მყოფი მხედრები უკვე თადარიგს იჭერდნენ ფერისცვალების დღეს გასამართ დოღში მონაწილეობისთვის. ამჯერადაც მათი ლიდერი გორგაძეებელი ჯემალ გორგაძე იქნება. ზორტიყელში დოღის გამართვას დღესასწაულის „შემოდგომა ღორჯომში“ დროს აპირებენ.

„დაუშვებელია, ხელისუფლებაში დაბრუნების თუნდაც თეორიული შესაძლებლობა დარჩეს“

მე-3 გვერდიდან

კოლექტიურ „ნაციონალურ მოძრაობას“ ძლიერი გარე მფარველები ახლაც ჰყავს. ეს არიან ის ძალები, რომლებიც გასული 2 წლის განმავლობაში საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ყველა კამპანიის, მათ შორის, მეორე ფრონტის კამპანიის ადგილობრივ თუ საერთაშორისო კოორდინაციას ახორციელებდნენ. ჩვენ ამ ძალებს უნდა დავანახოთ, რომ კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური სისტემიდან ჩამოშორება ქართველი ხალხის უდიდესი, საკონსტიტუციო უმრავლესობის გადაწყვეტილებაა. ოქტომბრის არჩევნები უნდა იქცეს ერთგვარ ნიურნბერგის პოლიტიკურ განაჩენად „ნაციონალური მოძრაობისთვის“, რომელიც შესაბამის სამართლებრივ პროცესს მყარ ნიადაგს შეუქმნის. გამომდინარე უამრავი დანაშაულიდან, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩაიდინა, მას ვერ მივცემთ უფლებას, გარე დავალებების შესრულება და სახელმწიფოსთვის მუდმივი ზიანის მიყენება განაგრძოს. დაუშვებელია ხელისუფლებაში დაბრუნების თუნდაც თეორიული შესაძლებლობა დარჩეს 2008 წლის დანაშაულის ჩამდენ პოლიტიკურ ძალას, მით უმეტეს იმ გამოწვევების ფონზე, რომლებიც საქართველოს წინაშე რეგიონში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტების ფონზე დგას“, - ვკითხულობთ განცხადებაში.

„ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ მათი ვალია, პოლიტიკური სისტემის არაჯანსაღი მდგომარეობა სამუდამოდ შეცვალონ და ინსტიტუციონალიზებული პარტიული სისტემა ჩამოაყალიბონ, რაც მათი განმარტებით, სრულფასოვანი დემოკრატიული სისტემის ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.

„არ შეიძლება, ქვეყანა მუდმივად ცხოვრობდეს რევოლუციებისა და ქვეყნის არევის მცდელობის რეჟიმში და გულხელდაკრეფილი ველოდოთ იმ ნაღმის აფეთქებას, რომელსაც კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ საშუალებით გარედან ხელოვნურად თავს მოხვეული რადიკალიზმი და პოლარიზაცია ჰქვია. სწორედ ამიტომ კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ არაკონსტიტუციურად გამოცხადება არის აუცილებელი პირობა საქართველოში გრძელვადიანი მშვიდობის დამყარებისა და გამართული დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების ჩამოყალიბებისათვის.

საქართველოს პარლამენტში უკვე ინიცირებულია კონსტიტუციური კანონპროექტი „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, რომლის მიღების შემდეგ, ვერავინ ვედარასოდეს მოგვახვევს თავს ერთნაირსქესიანთა ე.წ. სამოქალაქო პარტნიორობის, ერთნაირსქესიანთა წყვილის მიერ ბავშვის აყვანის ან სქესის შეცვლის ოპერაციის დაკანონებას, ქალისა და მამაკაცის გარდა სხვა ე.წ. სქესის სამართლებრივად დადგენას, საგანმანათლებლო დაწესებულებებში თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის პროპაგანდას და სხვა მანკიერებებს, რომლებმაც მრავალი ქვეყანა უკვე ძალზე მძიმე შედეგებამდე მიიყვანა. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული ამოცანა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. მშვიდობიანი გზით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემთხვევაში, აუცილებელი გახდება საქართველოს კონსტიტუციის ცვლილება, რათა საქართველოს მმართველობის სისტემა და ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა ახალ რეალობასთან მოვიდეს შესაბამისობაში. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს გარშემო მოვლენები ძალზე დინამიურად ვითარდება, ამგვარი მოცემულობისთვის ნებისმიერ დროს უნდა ვიყოთ მზად.

რაც უფრო დიდი იქნება „ქართული ოცნების“ საარჩევნო მხარდაჭერა, მით უფრო მცირე იქნება საქართველოს არაკეთილმოსურნეთა ცდუნება, კიდევ ერთხელ სცადონ ქვეყნის არევა, ხელისუფლებაში აგენტურის, ანუ ადგილობრივი ომის პარტიის დაბრუნება და საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა. რაც უფრო დიდი იქნება „ქართული ოცნების“ საარჩევნო მხარდაჭერა, მით უფრო მშვიდი იქნება ნოემბერი, დეკემბერი და მომდევნო 4 წელიწადი. რაც უფრო მეტი იქნება „ქართული ოცნების“ მხარდაჭერა, მით უფრო ნაკლები ბარიერი შეექმნება ქვეყნის საერთო წინსვლას და ეკონომიკურ განვითარებას.

შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის ნომერ პირველი ამოცანა ამ არჩევნებზე მშვიდობის მაქსიმალურად განმტკიცებაა, რისთვისაც თითოეული ამომრჩევლის ხმას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამასთან, მანდატების რამდენ პროცენტსაც მიიღებს „ქართული ოცნება“, ზუსტად იმდენი პროცენტით განმტკიცდება და გამყარდება მშვიდობა ჩვენს ქვეყანაში“, - აღნიშნულია განცხადებაში.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

R
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3.

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ედოვის ქ. №2ᵃ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 22/08/24, 17 15 სთ.

ლიანა ისაკაძის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“ სამ ქალაქში: ბორჯომში, ბათუმსა და თბილისში შვიდი დაუვიწყარი კონცერტით წარსდგება მსმენელის წინაშე

ლიანა ისაკაძის გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია მსოფლიო მუსიკალური სამყაროსთვის. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი კლასიკური მუსიკის განვითარებაში, ისევე, როგორც შეუძლებელია მისი, როგორც მუსიკოსის მასშტაბის გადმოცემა სიტყვებით. „სინდისი ადამიანის თავისუფლების დეკლარაციაა ღმერთში“ - ლიანა ისაკაძის ეს ფრაზა მთელ მის ცხოვრებას გასდევდა ლაიტმოტივად... „ღამის სერენადების“ შემოქმედებითი და საორგანიზაციო ჯგუფისთვის დიდი პატივი და, ამავდროს, პასუხისმგებლობაცაა, ვიყოთ ამ ფესტივალის ნაწილი და თავდაუზოგავად ვიშრომოთ, რათა გაგრძელდეს ლიანა ისაკაძის მიერ დაწყებული ისტორია

ვესაუბრებით ფესტივალ „ღამის სერენადების“ დირექტორსა და კომპანია „არტ ალიანსის“ დამფუძნებელ **ნინა ცაბარელს.**

- რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ წლევანდელი პროგრამის მონაწილეები და ვისი მოსმენა შეეძლება კლასიკური მუსიკის მსმენელს?

- ამა წლის „ღამის სერენადები“ აღდგენიდან მეთექვსმეტედ გაიმართება. ბუნებრივია, ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფი ყურადღებით ადევნებს თვალს მსოფლიო კლასიკური მუსიკის მოვლენებს, ეცნობა ახალ სახელებს და, ამავდროულად, უკვე აღიარებული მუსიკოსების შემოქმედებით სიახლეებს, ამიტომ ყოველთვის ვცდილობთ, წარვუდგინოთ მსმენელს მსოფლიო დონის შემსრულებლები. ამასთან, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ქართველ მუსიკოსებს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ფესტივალმა ყოველწლიურად გააერთიანოს მსოფლიოს, საქართველოს საუკეთესო შემსრულებლები და მათი ერთობლივი მუსიცირების შედეგები გააცნოს მსმენელს. წლევანდელი ფესტივალიც არაა გამონაკლისი - პუბლიკა შეხვდება როგორც მათთვის კარგად ნაცნობ და საყვარელ სახელებს (განახლებული საკონცერტო პროგრამით), ასევე ახალგაზრდა, მსოფლიოში უკვე აღიარებულ, თუმც საქართველოში ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ უნიჭიერეს მუსიკოსებს.

- უფრო მეტი გვიამბეთ ფესტივალის მონაწილეების შესახებ.

- წლევანდელ მონაწილეებს შორისაა იტალიელი დირიჟორი ბეატრიჩე ვენეცი. იგი არის Orchestra Scarlatti Young-ის და „Milano Classica“-ს მთავარი დირიჟორი, ფონდ Taormina Arte-ს სამხატვრო ხელმძღვანელი, იტალიის კულტურის მინისტრ ჯენაროო სანჯულიანოს მუსიკალური მრჩეველი. ის კონცერტებს მართავს მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ასრულებს როგორც საოპერო, ასევე ინსტრუმენტულ მუსიკას. ქალი დირიჟორი ევროპაში უკვე არავის უკვირს, თუმცა ქართველ მსმენელს არცთუ ხშირად აქვს მათი მოსმენის საშუალება. უნდა ვთქვათ, რომ ჩვენმა მსმენელმა შარშან უკვე გაიცნო ბეატრიჩე და მან ქართველი პუბლიკის დიდი სიყვარულიც დაიმსახურა. ვფიქრობ, ეს სიყვარული ორმხრივია, ვინაიდან მან დიდი სიამოვნებით მიიღო ჩვენი შეთავაზება წლევანდელ ფესტივალში მონაწილეობის შესახებ. ვფიქრობ, მისი კონცერტი განსაკუთრებული იქნება, რადგან ის იტალიურ სიმფონიურ მუსიკასა და რახმანინოვის მესამე საფორტეპიანო კონცერტს ჩვენს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრსა და არაჩვეულებრივ პიანისტ სანდრო ნებიერიძესთან ერთად შეასრულებს. სანდროს განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება - მას საქართველოში ყველა ძალიან კარგად იცნობს, თუმცა მას შემდეგ, რაც სანდრომ სწავლა მიუნხენის მუსიკისა და თეატრის უმაღლეს სკოლაში განაგრძო, მის კონცერტებს ძალიან მონატრებულები ვართ, ამიტომ გვიხარია, რომ ჩვენი ფესტივალის ფარგლებში სანდრო შეასრულებს რახმანინოვის მესამე საფორტეპიანო კონცერტს, რომელიც მას საქართველოში ჯერ არ შეუსრულებია. არანაკლებ დაუვიწყარი იქნება მევიოლინე ანდრეს გაბეტასა და ბლოკ-ფლეიტისტ მორის შტიგერის კონცერტი. ბლოკ-ფლეიტა ბაროკოს ეპოქის ინსტრუმენტია, ასე ვთქვათ, თანამედროვე ფლეიტის წინაპარი, რომლის მოსმენის საშუალებაც საქართველოში, იშვიათი გამონაკლისების გარდა, შეუძლებელია. ორივე სოლისტი ბაროკოს ეპოქის მუსიკის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლადაა აღიარებული. ისინი თანამშრომლობენ იმ ეპოქის წარმომდგენ წამყვან ორკესტრებსა და შემსრულებლებთან, მაგალითად ჩეჩილია ბარტოლისთან. ფესტივალის ფარგლებში კონცერტებს

გამართავენ ასევე ელვინ ხოჯა განიევი და მარიო სტეფანო პიეტროდარკი. ელვინი ახალგაზრდა აზერბაიჯანელი მევიოლინეა - არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი და რომის პაპის მედლის მფლობელი. ელვინი უკრავს უნიკალურ - ჯუზეპე გვარნერის 1715 წლის ვიოლინოზე „flius Andreae“. ამდენად, კონცერტზე დამსწრე საზოგადოებას, მის არაჩვეულებრივ შესრულებასთან ერთად, ექნება საშუალება, მოისმინოს, თუ როგორ ჟღერს უნიკალური, 300 წლის წინ დამზადებული, უდიდესი ოსტატის მიერ შექმნილი ვიოლინო. რაც შეეხება მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო იტალიელ ბანდონეონისტ მარიო სტეფანო პიეტროდარკს, ის ფესტივალის დიდი მეგობარია და თითოეულ კონცერტზე დაუვიწყარ ემოციებს ჩუქნის მსმენელს, რომელიც, დარწმუნებული ვართ, სცენაზე მის გამოსვლას განსაკურებული მღელვარებით ელოდება. წელს ასევე გვექნება ორი თემატური კონცერტი. „ბრაზილიური მუსიკის საღამო“ გააერთიანებს ბრაზილიის აკადემიურ მუსიკას, რომელიც ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანია, თუმც ქართველი პუბლიკისთვის - თითქმის უცნობი. შევასრულებთ სხვადასხვა თაობის ბრაზილიელი კომპოზიტორების ნაწარმოებებს. გვეყოლება არაჩვეულებრივი ახალგაზრდა სოლისტები - ლიზი რამიშვილი, მარიამ როინიშვილი და გიორგი ოიკაშვილი. ფესტივალის კიდევ ერთი საღამო დიდ ჩეხ კლასიკოს ბედრჟიხ სმეტანას 200 წლის იუბილეს მიეძღვნება. პიანისტი და კომპოზიტორი გიორგი შავერზაშვილი და მევიოლინე გიორგი ხაინდრავა სმეტანას, დვორჟაკისა და იანაჩეკის მუსიკას შეასრულებენ. მუსიკოსებს დიდი ხნის მეგობრობა და შემოქმედებითი თანამშრომლობა აკავშირებთ, ასეთი კონცერტები კი მოგეხსენებათ, განსაკუთრებულ უშუალობასა და დაუვიწყარ ატმოსფეროს ქმნის. წლევანდელ კონცერტზე კვლავ შემოგვიერთდება ანსამბლი „ბორჯომი“ (ხელმძღვანელი - გიორგი ბუგიანიშვილი), რომელიც გამორჩეულ ელფერს სძენს ბორჯომში გამართულ საღამოებს. მსმენელებს სპეციალურ სიურპრიზს უმზადებს მამა-შვილ გიორგი და მარიამ ბუგიანიშვილების არაჩვეულებრივი დუეტი. ძალიან მოხარულები ვართ, რომ ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, რომელიც გასული წლიდან ფესტივალის პარტნიორია, გვაძლევს სიმფონიური ორკესტრისთვის შექმნილი ნაწარმოებების ჩვენი ფესტივალის ფარგლებში აჟღერების საშუალებას. წელს ეს იქნება რესპიგისა და რახმანინოვის მუსიკა ბეატრიჩე ვენეცისა და სანდრო ნებიერიძის შესრულებით. არ შემიძლია, განსაკუთრებული სიყვარულით არ აღვნიშნო ჩვენი საბაზო ორკესტრი „საქართველოს ვირტუოზები“ და მისი პირველი ვიოლინო ლელა მჭედლიძე, რომლებიც ყოველთვის მაღალი დონის შესრულებით გამოირჩევიან და ღირსეულ პარტნიორობას უწევენ სოლისტებს. ამდენად, ვფიქრობ, წლევანდელი ფესტივალი განსაკუთრებულად დატვირთული იქნება მუსიკალური აღმოჩენებით, ემოციებით და დაუვიწყარ შთაბეჭდილებას მოახდენს მსმენელზე.

- სად და როდის გაიმართება კონცერტები?

- „ღამის სერენადები“ გაიმართება საქართველოს სამ ქალაქში: ბორჯომში, ბათუმსა და თბილისში. ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნება 21 აგვისტოს სასტუმრო „ბორჯომი ლიკანში“ - გალა კონცერტით, ღია ცის ქვეშ, გაგრძელდება ბათუმში - 23 და 25 აგვისტოს, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დიდ სცენაზე, ხოლო თბილისის კონცერტები გაიმართება 18 სექტემბერს - თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზში, 15, 17 და 20 სექტემბერს კი კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

- რითი გამოირჩევა წლევანდელი „სერენადები“?

- წელს შვიდი კონცერტი გვაქვს, რაც დიდი პასუხისმგებლობა და, ამავდროულად, უდიდესი სიხარულია. გვაქვს მრავალფეროვანი პროგრამა - ბაროკოს მუსიკით დაწყებული, მსოფლიო კინოკლასიკის ჰიტებით დასრულებული, არაჩვეულებრივი სოლისტები, ორკესტრები, ამდენად, ერთი სული გვაქვს, როდის შევხვდებით მსმენელს და მუსიკირებით გამოწვეულ ემოციებს გავუზიარებთ ერთმანეთს.

- რას გვეტყვით გასული წლების პროგრამებსა და, ზოგადად, „ღამის სერენადებზე“, როგორც კულტურულ მოვლენაზე?

- როგორც მოგეხსენებათ, „ღამის სერენადები“ ლეგენდარულმა ქართველმა მევიოლინემ და დირიჟორმა ლიანა ისაკაძემ ჯერ კიდევ 1982 წელს, აფხაზეთში დააარსა. ის ყველაზე ხანგრძლივი ისტორიის მქონე ფესტივალია საქართველოში. დაარსების დღიდან ფესტივალმა არაერთ ქარტეხილს გაუძლო, ბევრჯერ იცვალა სახე, ადგილმდებარეობა, მაგრამ დღესაც აგრძელებს ცხოვრებას, ვითარდება და სულ უფრო მეტად იზრდება. ამ დროის განმავლობაში ფესტივალმა შექმნა საკუთარი ისტორია, უმასპინძლა მსოფლიო დონის ვარსკვლავებს, რომელთა შორის არიან ალფრედ შნიტკე, კურტ მაზური, გიდონ კრემერი და მრავალი სხვა; დააარსა საბაზო ორკესტრი „საქართველოს ვირტუოზები“ - უნიკალური კოლექტივი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ქვეყანაში წარმატებით მოღვაწე მუსიკოსებს საქართველოდან; მუდმივად იღვწოდა და საკუთარი წვლილი შეჰქონდა ქართული აკადემიური მუსიკის პოპულარიზაციაში. „ღამის სერენადებზე“ ქართული მუსიკა ჟღერს არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი სოლისტების შესრულებით, იმართება ქართველი კომპოზიტორების თხზულებების მსოფლიო პრემიერები, რომლებსაც ისინი სპეციალურად ფესტივალის დაკვეთით ქმნიან და ასე შემდეგ. კიდევ ერთხელ ვიტყვი: ამ დროის განმავლობაში „ღამის სერენადებმა“ უნიკალური ადგილი დაიმკვიდრა ქართულ მუსიკალურ ცხოვრებაში. ჩვენთვის დიდი პატივია, ვაგრძელებდეთ ლეგენდარული მევიოლინისა და ფესტივალის დამფუძნებელ ლიანა ისაკაძის დაწყებულ საქმეს, ამიტომ პირადად ჩემთვის, სამხატვრო ხელმძღვანელ გიორგი ისაკაძისა და ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის თითოეული წევრისთვის მნიშვნელოვანია ტრადიციების, ხელწერის შენარჩუნება, ფესტივალის მუდმივი განახლება-განვითარება.

- ფესტივალის ფარგლებში, წელსაც გაიმართება თუ არა დარგობრივი მასტერკლასები და ვორქშოპები?

- „ღამის სერენადები“, ტრადიციულად, განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამას მოსწავლე-ახალგაზრდებისთვის, მათ შორის შშმ/ სსსმ პირებისთვის, რომელიც მოიცავს დარგობრივ მასტერკლასებსა და ვორქშოპებს თბილისსა და რეგიონებში. საგანმანათლებლო სექციაში ჩართული იქნებიან მოწვეული უცხოელი სოლისტები, კომპოზიტორი გიორგი შავერზაშვილი. მოეწყობა ქართველი მხატვრების გამოფენები ბათუმის დრამატულ თეატრსა და კონსერვატორიის დიდი დარბაზის ფოიეში. ვფიქრობთ, ფესტივალის ჩატარება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია როგორც მუსიკოსებისა და მსმენელისთვის, ასევე ახალგაზრდა თაობისთვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების უწყვეტი პროცესის ხელშეწყობით, რომელიც ასახვას ჰპოვებს ჩვენს ქვეყანაში კულტურულ-სახელოვნებო პროცესების წინსვლისა და სამომავლო განვითარების გზაზე. გასაგების, რომ „სერენადების“ ამ მიმართულების მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება. ფესტივალის მხარდამჭერები არიან: საქართველოს კულტურის და სპორტის სამინისტრო, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ქალაქ თბილისის მერია, ქალაქ ბათუმის მერია, ქალაქ ბორჯომის მერია, იტალიის საელჩო საქართველოში, ბრაზილიის საელჩო საქართველოში, ჩეხეთის საელჩო საქართველოში. მასპინძელი სასტუმრო: ჰილტონ გარდენ ინნ თბილისი. ფესტივალის პარტნიორი: ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, სასტუმრო „ბორჯომი ლიკანი“. ფესტივალის მხარდამჭერი კომპანიები: „ჯიპისი აფთიაქი“, მცენარეული კოსმეტიკის ფუძემდებელი საფრანგეთიდან „ივ როშე“, პრემიუმ კოსმეტიკის ვეგანური, ქართული ბრენდი „პიელ ნატურალსი“, ძმები ხუციშვილების „ღვინის მარანი“, ღვინის კომპანია „GEORGIAN LEGEND“. ფესტივალის საინფორმაციო მხარდამჭერები: აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, საქართველოს პირველი არხი, ტელეკომპანია „რუსთავი 2“, ტელეკომპანია „იმედი“, „პოსტვ“, „ევრონიუს ჯორჯია“, მედიაჰოლდინგი „ჯორჯიან ტაიმსი“, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, მედია და ციფრული კომუნიკაციების სააგენტო „კლიპარტი“, „პალიტრა ჰოლდინგი“, საინფორმაციო სააგენტო „პრაიმ ტაიმი“, ინგლისურენოვანი გაზეთი „Today“, ინგლისურენოვანი ყოველდღიური გაზეთი „Messenger“, ჟურნალი „სარკე“, გაზეთი „აჭარა“, ონლაინმედია „აჭარა თაიმსი“, რადიო „ფორტუნა“ და ვებპლატფორმა „ფორტუნა.ჯი“. ბილეთები შეიძინეთ tkt.ge-ზე.

ესაუბრა
თამარ სადრაძე